MAGAZINE FOR PEOPLE, WHO DRIVE & LEAD

# TM Autograph

თმ-ავტოგრაფი

#5 | ISSUE | WINTER • 2015




**PORSCHE**
performance
drive

The festive opening ceremony of the
**TOYOTA CENTER TEGETA**

The 10th anniversary
**BRIDGESTONE BLACK SEA CUP**
organized by TEGETA MOTORS and BRIDGESTONE

NOT FOR SALE

ISSN 2298-0792

TM Autograph
#5 • WINTER • 2015
MAGAZINE FOR PEOPLE, WHO DRIVE & LEAD



## The New Cayenne

როდესაც Porsche-მ პირველად გადაწყვიტა მაღალი გამავლობის ავტომობილის შექმნა, ბევრი ეჭვობდა, რომ სპორტული ავტომობილების მწარმოებლისთვის ეს იქნებოდა შეცდომა, მაგრამ Porsche-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნებისმიერი ტიპის ავტომობილი, რომელსაც ის ქმნის ყოველთვის ხდება საუკეთესო მსოფლიოში. ეს იყო 2002 წელს.

ახალმა Cayenne-მა კიდევ ერთხელ მისცა მთელ ავტოსამყაროს სანიმუშო ორიენტირი.

დღეს ეს ავტომობილები უკვე საქართველოშია.

PORSCHE INTELLIGENT PERFORMANCE




PORSCHE

Porsche Center Tbilisi

ალმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ
თბილისი 0131
ტელ.: 244 911
ელ-ფოსტა: info@tpv.ge
http://www.tpv.ge

საავტომობილო, მოტოციკლისა და წყლის
ტრანსპორტის პრემიუმ ხარისხის ძრავის
ზეთები საფრანგეთიდან



☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

MOTUL




თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It's Time To Choose Quality...

# TM Autograph
თმ ავტოგრაფი

პროექტის ხელმძღვანელები/HEADS OF THE PROJECT
დავით გოგინაშვილი/David Goginashvili
ეთო მერებაშვილი/Eto Merebashvili

გამომცემელი/PUBLISHER
ანუკი ნაცვლიშილი/Anuki Natsvlishvili

არტ დირექტორი/ART DIRECTOR
სერგო კულიჯანოვი/Sergo Kulijanov

ლიტერატურული რედაქტორი/LITERARY EDITOR
ნატუკა ნაცვლიშილი/Natuka Natsvlishvili

დიზაინერები/DESIGNERS
დავით სამსონიძე/David Samsonidze
სერგო ტიტენკოვი/Sergo Titenkov

ფოტოგრაფი/PHOTOGRAPHER
ზურა ქართველიშვილი/Zura Kartvelishvili

ჟურნალისტები/JOURNALISTS
თაკო ფოლადაშვილი/Tako Poladashvili
ნინო ლომიძე/Nino Lomidze
ნატა ბეშიძე/Nata Beshidze
ნიკა გომართელი/Nika Gomarteli

მთარგმნელი/TRANSLATORS
ელენე გრძელიძე/Elene Grdzelidze

რედაქცია: საქართველო, თბილისი, 0103, ე. ახვლედიანის ხევი 3, საფოსტო ინდექსი 0108; ტელ.: +995 322 946 446; მარკეტინგის სამსახური info@ego.com.ge
გამოცემის თარიღი: 10.01.2015. გამომცემლობა ფლიტ მედია, საქართველო, თბილისი, 0103, ე. ახვლედიანის ხევი 3, ელ.ფოსტა: flitmail@flit.ge. პერიოდული გამოცემა. გამოდის 2013 წლის ივნისის თვიდან.

Editorial office: 3, E. Akhvlediani ravine, 0103, Tbilisi, Georgia Tel.: +995 322 946 446, Fax: +995 322 922 898
Marketing department: info@ego.com.ge
Date of edition: 10.01.2015. Publishing house FLIT MEDIA.



პოლიგრაფიული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ტელეფონის ან ელ.ფოსტის საშუალებით და 5 დღის განმავლობაში მიიღებთ ახალ ეგზემპლარს. კატეგორიულად იკრძალება „თმ ავტოგრაფში" გამოყენებული ტექსტური და ფოტო მასალის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება რედაქციის წერილობითი თანხმობის გარეშე. გამომცემლობა პასუხისმგებლობას იხსნის რეკლამაში განთავსებულ შინაარსზე.

In case of any polygraphic defects please address to our office or contact us by e-mail and new copy will be delivered within 5 days. Full or partial usage of texts or photo materials from TM AUTOGRAPH is forbidden without written confirmation of the editorial office. Publishing house is not responsible for the content of advertised material.



გამოცემაში გამოყენებულია ბესარიონ გუგუშვილის BPG DejaVu Sans Light ExtraLight და FLIT Group-ს Flt Os Test3 ფონტები


# CONTENTS


8 Knights of our time
ჩვენი დროის რაინდები

14 Proper Management and Means of Dealing with Problems – 19 Years at the Helm of the Company
სწორი მენეჯმენტი და პრობლემებთან გამკლავების გზები – 19 წელი კომპანიის მართვის სადავეებთან

22 The festive opening ceremony of the TOYOTA CENTER TEGETA
ტოიოტა ცენტრი თეგეტას საზეიმო გახსნა

26 Paata Burchuladze met with Tegeta Motors Employees
პაატა ბურჭულაძე თეგეტა მოტორსის თანამშრომლებს შეხვდა

30 Porsche Performance Drive

42 The 10th anniversary BRIDGESTONE BLACK SEA CUP organized by Tegeta Motors and Bridgestone
თეგეტა მოტორსისა და ბრიჯსთოუნის მე-10 საიუბილეო ავტორბოლა BRIDGESTONE BLACK SEA CUP

48 Interesting facts about automobiles
საინტერესო ფაქტები ავტომობილების შესახებ

54 Prepare your automobile for winter
მოამზადეთ ავტომობილი ზამთრისთვის

58 Dangerous car accessories
სახიფათო ავტო-აქსესუარები

62 Convertible – a summer automobile
კაბრიოლეტი – ზაფხულის ავტომობილი




22







82






30



8



114


58


14



70


54


122



# CONTENTS


70 From Rome to – Rome
რომიდან – რომამდე

72 Winners of the joint competition organized by ZF and Tegeta Motors will be traveling to Germany
ZF-ისა და თეგეტა მოტორსის ერთობლივ კონკურსში გამარჯვებულები გერმანიაში გაემგზავრნენ

74 Step by Step to Universal Success...
ეტაპობრივად მოსული საყოველთაო წარმატება...

80 The Best Tegeta Motors Employees of the Second Quarter of 2014 have been revealed
გამოვლინდნენ თეგეტა მოტორსის საუკეთესო თანამშრომლები2014 წლის მეორე კვარტლის შედეგების მიხედვით

82 Flying cars – a myth or a failed reality?
მფრინავი ავტომობილები – მითი თუ წარუმატებელი რეალობა?

86 House on wheels
სახლი ბორბლებზე

90 Tbilisi–Dubai–Nepal–Dubai–Tbilisi
თბილისი–დუბაი–ნეპალი–დუბაი–თბილისი

114 Pair Racing at Tegeta Motors
წყვილთა რბოლა თეგეტა მოტორსში

120 Automobile Photo Chronicles
ავტომობილის ფოტომატიანე

122 ZODIAC and automobile
ზოდიაქო და ავტომობილი



















ბლიზზაკ ვიერიქს — ბლიზზაკ დიემ-ვი2

- საუკეთესო მოჭიდება ყინულსა და თოვლზე
- მაქსიმალური გარბენის რესურსი

## იაპონური ტექნოლოგიები თქვენი ზამთრისთვის

www.bridgestone.com

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
It's Time To Choose Quality...






# KNIGH
## of our tim
## ჩვენი დროის **რაინდი**




## MARC MÁRQUEZ I ALENTÀ

In 2008 Marc Márquez i Alentà debuted at the 2008 Portugal Moto Grand Prix at the age of 15 years and 56 days. One of the youngest Spanish racers became the Moto GP World Champion in 2013.

He is the fourth racer to win the World Championship in three different categories.

Moto 2, MotoGP and 125cc class – all of that from 2010 to 2013. He repeated Kenny Roberts's results and received the title in the very first season.

In 2012 Marc Márquez i Alentà signed a two-year contract with the Repsol Honda team.

2014 started off well for this young racer. He went 0.259 second ahead Valentino Rossi at the race in Qatar and repeated another record: twelve years ago Mic Doohan won all of the season's first four races.

Marc Márquez is an exceptionally talented racer; the kind that can create history.



## მარკ მარკეზ ალენტა

2008 წელს პორტუგალიის მოტო გრანდ პრიზე 15 წლის და 56 დღის მარკ მარკეზ ალენტას დებიუტი შედგა. ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ესპანელი მრბოლელი 2013 წელს მოტო ჯიპის გრანდ პრის მფლობელი ხდება.

ის მეოთხე მოტომრბოლელია, ვისაც მსოფლიო ჩემპიონატი სამ განსხვავებულ კატეგორიაში აქვს მოგებული.

მოტო 2, მოტო ჯიპი და 125cc კლასი, ეს ყველაფერი 2010 წლიდან 2013 წლის ჩათვლით. მან კერი რობერტსის შედეგი გაიმეორა და პირველივე სეზონზე მოიპოვა ტიტული.

2012 წელს მარკ ალენტამ 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა Repsol Honda-ს გუნდთან.

2014 წელი ახალგაზრდა მრბოლელისთვის კარგად დაიწყო. კატარში, რბოლის დროს მან ვალენტინო როსის 0.259 წამით გაასწრო და კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა: თორმეტი წლის წინ მიკ დუჰანიმ სეზონის პირველი ოთხივე რბოლა მოიგო.

მარკ მარკეზ ალენტა იშვიათად ნიჭიერი მრბოლელია, ისეთი, ისტორიის შექმნა რომ შეუძლიათ.

# VALENTINO ROSSI

Valentino Rossi is one of the most titled and successful racers in the Moto Grand Prix history. He has won 9 World Championship Grand Prixes, seven of them – of the Premier Class.

Valentino Rossi started his career of a professional motor racer as early as Marc Márquez. Under the influence of his father, former racer, Valentino started to cart race at an early age. Very soon, the 5-year-old racer already had a 100cc category motorcycle.

At different times he collaborated with Honda, Yamaha and Ducati. In 2013 and 2014 Rossi appears as a member of the Yamaha team again.

Rossi has most victories in the 500 cc/MotoGP category. With




80 wins and runner up titles out of 106 races, he is the second after Giacomo Agostini. Once his career took off, Rossi had many nicknames. One of the first was – The Doctor. According to his dad, it's because doctors are highly respected in Italy. Rossi himself jokes, that he took the nickname because there are many doctors with the surname Rossi in his country.

His former team member Collin Edwards and other journalists refer to him as the GOAT, which stands for – Greatest of all Time. Considering all data, Valentino Rossi is really the greatest racer of all times.



# ვალენტინო როსი

მოტო გრან პრის ისტორიაში ვალენტინო როსი ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი და წარმატებული მრბოლელია. მოგებული აქვს 9 მსოფლიო ჩემპიონატის გრან პრი, აქედან შვიდი – პრემიერ კლასის.

ვალენტინო როსიმ პროფესიონალი მოტომრბოლელის კარიერა მარკ ალენტასავით ადრე დაიწყო. მამის, ყოფილი მრბოლელის გავლენით, ვალენტინომ ადრეულ ასაკში დაიწყო კარტინგით რბოლა. ძალიან მალე, 5 წლის მრბოლელს უკვე ჰყავდა 100cc კატეგორიის მოტოციკლეტი.

სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა Honda-სთან, Yamaha-სთან და Ducati-სთან. 2013 და 2014 წლებში როსი ისევ Yamaha-ს გუნდის წევრად გვევლინება.

როსის ყველაზე მეტი მოგება 500 cc/MotoGP კატეგორიაში აქვს. 80 გამარჯვება და მეორე ადგილი, 106 რბოლით ის მეორეა, გიაკომო აგოსტინის შემდეგ. მრბოლელის კარიერის დაწყებისთანავე როსის ბევრი ზედმეტსახელი ჰქონდა. ერთ-ერთი პირველი იყო - The Doctor. მამის განმარტებით, იტალიაში ექიმი ყოველთვის პატივსაცემი ადამიანია. თავად როსი, ხუმრობს, რომ ზედმეტსახელი იმის გამო დაირქვა, რომ მის ქვეყანაში, ბევრი ექიმი გვარად როსია.

მისი ყოფილი გუნდის წევრი კოლინ ედვარდსი და სხვა ჟურნალისტები მას the GOAT-ს უწოდებენ, რაც ასე იშიფრება: „Greatest of all Time". ყველა მონაცემის გათვალისწინებით, ვალენტინო როსი მართლაც რომ ყველა დროის უდიდესი მრბოლელია.

## STANLEY HAILWOOD

He is one of those who created the history of MotoGP. He passed away in 1981 and still remains among the greatest racers of all times. Mike the Bike was his nickname. He had a distinctive talent of racing with motorcycles of different class. Throughout his career he has successfully managed to win the Grand Prix titles at Formula 1 and MotoGP.

Hailwood attended a race for the first time at the age of 10. With his father who used to be a rather successful motor dealer before World War





Cars stream past the fiery accident involving Mike Hailwood, Clay Regazzoni and Jacky Ickx, South African GP, Kyalami, March 3, 1973





II. Because of the family business, he learned how to drive a motorcycle at an early age and mainly practiced in a field close to home. His first race took place on April 22, 1957. With what one could call a terrible result: he finished eleventh among seventeen racers. But he started to improve his results very soon. In a single year he managed to win in three different classes at the ACU Stars. This success brought him to his second prize and he was announced the youngest successful racers under 21.

He debuted at the Formula 1 Grand Prix in Britain in 1963. He became recognized for his courageous gesture when at the South African Grand Prix Race he got out of the car to get his competitor out of the burning automobile.

Mike The Bike died in a car crash in England.

## სტენლი ჰეილვუდი

ის ერთ-ერთია მათ შორის, ვინც მოტო ჯიპის რბოლის ისტორიას ქმნიდა. გარდაიცვალა 1981 წელს და დღემდე უდიდეს მრბოლელებს შორისაა. Mike The Bike – მისი ზედმეტსახელი იყო. გამოირჩეოდა გასაოცარი ნიჭით – ერბოლა სხვადასხვა კლასის მოტოციკლეტით. კარიერის მანძილზე მან თანაბარი წარმატებით მოახერხა ფორმულა 1-ის და მოტო ჯიპის გრან პრის ტიტულების მოპოვება.

ჰეილვუდი რბოლას პირველად 10 წლის ასაკში დაესწრო, მამასთან ერთად, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე წარმატებული მოტოდილერი იყო. ოჯახური ბიზნესის გამო, მოტოციკლეტის მართვა ადრეულ ასაკში ისწავლა, ძირითადად, სახლთან ახლოს, მინდორში, ვარჯიშობდა. მისი პირველი რბოლა 1957 წლის 22 აპრილს შედგა. შეიძლება ითქვას, საშინელი შედეგით: ჩვიდმეტი მრბოლელიდან მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. მაგრამ სულ მალე შედეგის გაუმჯობესება დაიწყო. ერთ წელში მოახერხა და ACU Stars-ზე პირველი ადგილი დაიკავა, სამ, განსხვავებულ კლასში. გამარჯვებამ მეორე ჯილდომდე მიიყვანა და 21 წლამდე, ყველაზე ახალგაზრდა წარმატებულ მრბოლელადაც დასახელდა.

მისი დებიუტი ფორმულა 1-ის გრანდ პრიზე 1963 წელს, ბრიტანეთში შედგა. ფორმულა ერთის მოყვარულებს მან თავი სიმამაცით დაამახსოვრა, როცა სამხრეთ აფრიკის გრანდ პრის რბოლის დროს, მანქანიდან გადავიდა, რათა მოწინააღმდეგე ცეცხლმოკიდებული ავტომობილიდან გამოეყვანა.

Mike The Bike გარდაიცვალა ავტოავარიაში, ინგლისში.




# PHILLIP WILLIAM READ

His nickname is “The Prince of Speed”. He finished his racing career a while ago, but everyone who loves motor sports, knows his name. Phil William Read was Mike Hailwood’s contemporary; and often had to stay in his shade.

The most notable among Read’s achievements is the World Champion title in races of three different classes (125cc, 250cc, 500cc). His career started in 1958 and he won the Manx Grand Prix two years later.

The Yamaha team, unsuccessful in the 60’s, was searching for a racer like Read. The lucky Prince of Speed brought the team its first victory, Phil William Read became the World Champion in the 250cc class and managed to repeat his results the following year as well.



The reason for Read’s average popularity could be that he had Hailwood as a worthy opponent. Read lost the title to Hailwood in 1966, the reason for the loss being a new four-cylinder motorcycle produced by the Yamaha team. The competition between Hailwood and Read continued in 1967 where Mike won again.

Throughout his career, Phil Read participated in 152 races and won 50 of them. Testing motorcycle endurance was the main point of fascination for the Prince of Speed. He raced a full 24 hours on with a Honda motorcycle. In years 1962 and 1963 he also became the winner of the Thruxton 500 endurance races as well.

# ფილ უილიამ რიდი

მისი ზედმეტსახელი „სიჩქარის პრინცია“. მოტო მრბოლელის კარიერა დიდიხანია, დაასრულა, მაგრამ მისი სახელი იცის ყველამ, ვისაც მოტოსპორტი უყვარს. ფილ უილიამ რიდი მაიკ ჰეილვუდის თანამედროვეა; ხშირად მის ჩრდილქვეშაც უწევდა ყოფნა.

რიდის ტიტულებში აღსანიშნავია მსოფლიო ჩემპიონობა სამი კლასის (125cc, 250cc, 500cc) მოტორბოლაში. მრბოლელის კარიერა 1958 წელს დაიწყო, ორი წლის შემდეგ კი Manx Grand Prix-ის რბოლაში გაიმარჯვა.

60-იან წლებში წარუმატებელი Yamaha-ს გუნდი რიდისნაირ მრბოლელს ეძებდა. იღბლიანმა სიჩქარის პრინცმა გუნდს პირველი გამარჯვება მოუპოვა. ფილ უილიამ რიდი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 250cc კლასში და შედეგის გამეორება მომავალ წელსაც მოახერხა.

შეიძლება ითქვას, რომ რიდის არცთუ ისე დიდი პოპულარობა ჰეილვუდის, ღირსეული მოწინააღმდეგის ბრალია. 1966 წელს რიდმა ტიტული ჰეილვუდთან რბოლაში დაკარგა, მიზეზი კი, Yamaha-ს გუნდის ახალი, ოთხცილინდრიანი მოტოციკლეტი იყო. ჰეილვუდისა და რიდის პაექრობა 1967 წელსაც გაგრძელდა, ისევ მაიკის გამარჯვებით.

კარიერის მანძილზე ფილ რიდმა 152-ჯერ ირბოლა, აქედან 50 გამარჯვებით დაასრულა. „სიჩქარის პრინცის“ მთავარი გატაცება მოტოციკლეტის გამძლეობის გამოცდა იყო. მან Honda-ს მოტოციკლეტით 24 საათი შეუსვენებლივ ირბოლა. 1962 და 1963 წლებში კი, Thruxton 500-ს გამძლეობის რბოლების გამარჯვებულიც გახდა.






# რევოლუცია ძრავის ზეთებში

## ახალი SHELL HELIX ULTRA - შექმნილი ბუნებრივი აირისგან




არ არსებობს სხვა ზეთი, რომელიც უკეთესად
გაასუფთავებს თქვენი ავტომობილის ძრავს

Shell HELIX ULTRA
with PUREPLUS Technology

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
It's Time To Choose Quality...



## Proper Management and Means of Dealing with Problems

# 19 YEARS AT THE HELM OF THE COMPANY

## სწორი მენეჯმენტი და პრობლემებთან გამკლავების გზები

# 19 წელი კომპანიის მართვის სადავეებთან

“We at Tegeta Motors believe that we can achieve anything if we work together” – George Mshvildadze – TEGETA MOTORS Commercial Director

„ჩვენ, თეგეტა მოტორსში, გვჯერა, რომ ერთად ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია“ – გიორგი მშვილდაძე – თეგეტა მოტორსის კომერციული დირექტორი





Customer satisfaction is the number one company prerogative. Satisfied customers are a company's main honor.

### CHALLENGES IN MANAGING A SUSTAINED COMPANY

Managing a startup is significantly different from being in charge of a sustained company. When you start off, you are a part of the growth and development process a company has to go through. You still don't know for sure what will happen several years later, though naturally, there are goals and desires you move forward towards step-by-step – all of that has its challenges. The second – managing a company that's already on its feet, is an entirely different case, though experience is the right tool to handle anything. Personally I feel that dealing with particular issues is rather easy with 19 years of experience.

It should also be noted that I usually personally participate in the selection process of each employee, help them adapt and acknowledge our corporate culture that has been established since the foundation of the company, with the General Director Mr. TemurKokhodze andhas been shared among the employees for years now. I grew up with this company, and did not have a hard time adapting to new rules, relationships and values – the process of managing the company has been significantly easier due to all of that.

### GOALS IN THE PAST AND THE RESULTS TODAY

Constant work brings development. Looking at it now, I'm glad that we have created and implemented so many novelties and that we're still going with the same tempo.

### PROPER MANAGEMENT AND MEANS OF DEALING WITH CHALLENGES

I think that the secret to a company's success is teamwork and proper process planning and implementation. A good team and experience are what bring good results.

It is important that team members feel comfortable with one another. We always have that in mind in the employee selection process. We try to hire smart and talented youngsters and team them up with people of their kind, thus significantly increasing the quality of teamwork. If you work with this principle, employee opinion must be taken into account. It is important that there are no conflicts of ideas in a team, solely because everyone should believe in their idea. Nothing can be done if one doesn't believe! If ideas coincide, the goal and success are shared values, just as the responsibility for failure is

### სირთულეები უკვე შემდგარი კომპანიის მართვისას

დამწყები და უკვე შემდგარი კომპანიის მართვა საფუძვლიანად განსხვავდება ერთმანეთისგან. როცა საქმეს იწყებ, თავად ხარ მისი ზრდისა და განვითარების პროცესის მონაწილე. ამ დროს, ჯერ კიდევ არ იცი, რა იქნება რამდენიმე წლის შემდეგ, თუმცა, ბუნებრივია, გაქვს მიზანი და სურვილები და ნაბიჯ-ნაბიჯ, მიზანმიმართულად მიიწევ მათი განხორციელებისკენ. ამ ყველაფერს, თავისი სირთულეები ახლავს თან. სხვა შემთხვევაა, როცა უკვე შემდგარი კომპანიის მართვას იწყებ, თუმცა, გამოცდილებით ყველაფერთან გამკლავება შესაძლებელია. პირადად ჩემთვის, დღეს, 19-წლიანი გამოცდილების შემდეგ, კონკრეტული საკითხები ბევრად უფრო მარტივია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად, თავად ვიღებ მონაწილეობას თითოეული თანამშრომლის მიღებაში, ვეხმარები მათ ადაპტაციაში და ვცდილობ, დავეხმარო კომპანიის იმ ფასეულობებისა და კორპორატიული კულტურის გათავისებაში, რაც ჯერ კიდევ კომპანიის დაფუძნების დღიდან, გენერალურ დირექტორ ბატონ თემურ კოხოძესთან ერთად ჩამოყალიბდა და წლების მანძილზე გუნდურად ვიზიარებთ. მეც კომპანიასთან ერთად გავიზარდე, არ დამჭირვებია ახალ წესებთან, ურთიერთობებთან, ფასეულობებთან ადაპტაცია, ამ ყველაფერმა კი გაცილებით გაამარტივა მართვის პროცესი.

> ჩემთვის ბედნიერება კარგი თანამშრომლებია. ვცდილობთ, სამუშაო პროცესი იყოს ყველასთვის კომფორტული და მარტივი

### მიზნები ადრე და შედეგები ახლა

მუდმივ მუშაობას მოაქვს განვითარება. ამ გადმოსახედიდან, ბედნიერი ვარ, რომ უკვე ბევრი რამ შევქმენით, განვახორციელეთ და არც დღეს ვაგდებთ განვითარების ტემპს.

### სწორი მენეჯმენტი და შემხვედრ პრობლემებთან გამკლავების გზები

ჩემი აზრით, კომპანიის წარმატების საიდუმლო გუნდური მუშაობა და პროცესების სწორად დაგეგმვა-განხორციელებაა. კარგი შედეგები კარგ გუნდს და გამოცდილებას მოაქვს.

მნიშვნელოვანია, რომ გუნდის წევრები თავს კომფორტულად გრძნობდნენ ერთმანეთთან. ამას თანამშრომლების შერჩევის დროსაც ვითვალისწინებთ. ვცდილობთ, რომ ნიჭიერი და ჭკვიანი ახალგაზრდები დავასაქმოთ და კომპანიაშიც ასეთივე ხალხი დავახვედროთ, ეს გუნდის მუშაობის ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის. თუ ამ პრინციპს მიყვები, აუცილებელია, ითვალისწინებდე

shared among everyone, equally. It's not just the money that does the job, at any point in time, one must have a foothold of a team.

### COMPRISED OF STRONG INDIVIDUALS.

Anyone can make unconditional and unilateral decisions, but that might often be a vital mistake.

### APPROACH TOWARDS EMPLOYEES:

Good staff is happiness to me. It's a harsh selection process, but once they're here, we try to make the working process as comfortable and simple for our workers, as possible. I personally would always be glad to give helpful advice, so my relations with the staff are very direct and friendly. Anyone can come to me at any time.

I'd like to emphasize the fairness factor as well: I always try to be fair, because I think a person won't be able to provide quality work if they have a sense of unfair treatment. The extent to which I am successful at that, should, of course, be assessed by the employees. I would also like to note that the level of being moderate in relationships with employees is also rather important and can be a defining factor for fairness as well.

### CUSTOMER RELATIONS

Customer satisfaction is the number one company prerogative. Satisfied customers are a company's main honor. Our goal is to satisfy even the most demanding clients, moreover, they should be so happy that they return to us and recommend us to others, as well. We are not focused on single-time profits, but rather long-term relationships.

Our number one goal is to provide customers with high standard services, we should be able to find the golden mean between high quality and its price.

### THE DIFFERENCE BETWEEN GEORGIAN AND NON-GEORGIAN COMPANIES

The difference between Georgian and non-Georgian companies is mainly mentality-based. We try to be as close to European standards as possible, we have

თანამშრომლის აზრს. მნიშვნელოვანია, რომ გუნდში არ იყოს აზრთა სხვადასხვაობა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველას უნდა სჯეროდეს საკუთარი იდეის. შეუძლებელია, რამე გამოგივიდეს, თუ თავად არ გჯერა, რომ გამოგივა! აზრთა თანხვედრის შემთხვევაში, მიზანი და წარმატებაც საერთოა და წარუმატებლობის შემთხვევაშიც თანაბრად ვინაწილებთ პასუხისმგებლობას. მხოლოდ ფული საქმეს არ აკეთებს, ნებისმიერ მომენტში უნდა გქონდეს დასაყრდენი, ძლიერი თანამშრომლებისგან შემდგარი გუნდის სახით.

ყველას შეუძლია კატეგორიული და ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება, ეს დამღუპველი აღმოჩნდეს.

### მიდგომა თანამშრომლებთან

ჩემთვის ბედნიერება კარგი თანამშრომლებია. ჩვენთან მოხვედრა რთულია, მაგრამ, ვცდილობთ, სამუშაო პროცესი იყოს ყველასთვის კომფორტული და მარტივი. პირადად მე, ყოველთვის მოხარული ვიქნები, თუ ჩემი რჩევა ვინმესთვის სასარგებლო აღმოჩნდება, ამიტომ, ჩვენი ურთიერთობები უშუალო და მეგობრულია. ნებისმიერ თანამშრომელს, ნებისმიერ დროს, შეუძლია მომმართოს რჩევისათვის.

გამოვყოფდი სამართლიანობის ფაქტორსაც. ყოველთვის ვცდილობ, რომ სამართლიანი ვიყო, ვფიქრობ, რომ ადამიანი ხარისხიან სამუშაოს ვერ გაწევს, თუ უსამართლობის შეგრძნება აქვს. რამდენად გამომდის ეს, რა თქმა უნდა, თანამშრომლების შესაფასებელია. მინდა აღვნიშნო, რომ ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ზომიერი ხარ თანამშრომლებთან ურთიერთობაში, ეს, გარკვეულწილად, სამართლიანობის განმაპირობებელი ფაქტორიც არის.

### კლიენტებთან ურთიერთობა

კლიენტების კმაყოფილება ამოსავალი წერტილია. კომპანიის მთავარი ღირსება კმაყოფილი მომხმარებელია. ჩვენი მიზანია, რომ ყველაზე „პრეტენზიული" კლიენტიც კი კმაყოფილი დარჩეს, უფრო მეტიც, იმდენად კმაყოფილი, რომ მეორედაც დაბრუნდეს ჩვენთან და სხვასაც გაუწიოს რეკომენდაცია. ჩვენ ორიენტირებული ვართ არა ერთჯერად მოგებაზე, არამედ გრძელვადიან ურთიერთობებზე.

ჩვენი უდიდესი სურვილი და უპირველესი მიზანია, რომ მომხმარებელს მაღალი სტანდარტების მომსახურება შევთავაზოთ. უნდა შევძლოთ ოქროს შუალედის პოვნა მაღალ სტანდარტებსა და მის ღირებულებას შორის.

### განსხვავება ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის

ქართულ და არაქართულ კომპანიებს შორის განსხვავება მენტალიტეტის სხვაობით არის განპირობებული. ჩვენ ვცდილობთ, რომ ევროპულ სტანდარტებთან ახლოს ვიყოთ, დანერგილი გვაქვს დასავლური სტანდარტები და სერვისის უმაღლესი დონე. მაგრამ, რიგ შემთხვევებში, ვხვდებით ხოლმე, რომ ამისთვის მენტალური მზაობა ნაკლებია. ვფიქრობ, რომ მაღალ სტანდარტებთან გათანაბრება მიღწევადია. ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა ცვლილების განხორციელება



არ არსებობს წარმატება მაშინ, როცა
იმას აკეთებ, რაც არ გიყვარს. არავინ
იფიქროს, რომ მის ნამუშევარს ვერავინ
ამჩნევს. გამორიცხულია,
რომ ყოველთვის, ყველასთვის
შეუმჩნეველი დარჩე

implemented Western methods and top-notch service quality, but in quite a bit of cases we have come to realize that there are issues with the mentality. I think it's possible to finally get to high standards, a step-by-step strategy could be efficient for all kinds of changes. If we look at what we were five years ago and what we are now, the progress is clearly visible.

### TIME MANAGEMENT

Considering the high tempo of life in this century, just like most people, I too experience shortage of time. However, I try to fit both, my work and private life into the tight schedule. Unfortunately, I have very limited time to share with my friends and close acquaintances.

### BRIEFLY ON MISTAKES

I think that people learn on their own mistakes. If you don't make mistakes, you won't know the ways of improving them. If there are problems in the company, we all work together to figure out the cause and possible solutions. This prevents us from making the same mistake again. It also accumulates experience – experience is not making the same mistake twice.

### ADVICE TO EMPLOYEES AND NOT ONLY...

I always try to give good advice, it is obviously up to people's free will to mind or disregard them and one can never force anyone to do what you want them to! I have the same attitude towards my children... I would just like to tell everyone that it is better they love what they do! There is no success in doing something you don't love. Nobody should think their work goes unnoticed. It's impossible to always be unnoticed for everyone!

### P. S.

There are no unattainable goals! Just as long as one takes the right path and walks step-by-step. What matters is to take the first step at the right time, then take another one, and another one and never hesitate to work. Never stop at the attained and don't let complacency take over. Hard work always pays off.

შეიძლება. თუ გავიხსენებთ, რა ვიყავით ხუთი წლის წინ და რა ვართ ახლა, პროგრესს აშკარად დავინახავთ.

### დროის მენეჯმენტი

ამ საუკუნეში, ცხოვრების სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, ისევე, როგორც ადამიანების უმეტესობას, მეც მაქვს დროის უკმარისობა, თუმცა, ვცდილობ, მოვახერხო დრო საქმესაც დავუთმო და პირად ცხოვრებასაც. სამწუხაროდ, გული მწყდება, რომ მოუცლელობის გამო მეგობრებისა და ახლობლებისთვის ცოტა დრო მრჩება.

### ცოტა რამ შეცდომებზე

მიმაჩნია, რომ ადამიანები საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ. თუ შეცდომა არ დაუშვი, ბუნებრივია, არც მისი გამოსწორების გზები გეცოდინება. თუ კომპანიაში პრობლემები გვაქვს, ყველა ერთად ვმუშაობთ იმის გარკვევაზე, რამ გამოიწვია ეს

> The difference between Georgian and non-Georgian companies is mainly mentality-based

პრობლემები და როგორ შეიძლება მოგვარდეს ის. ეს ხელს უწყობს მეორედ მსგავსი შემთხვევის განმეორების პრევენციას. გამოცდილება სწორედ ის არის, რომ უკვე დაშვებულ შეცდომას აღარ გაიმეორებ.

### რჩევები თანამშრომლებს და არა მარტო მათ...

ყოველთვის ვცდილობ, რჩევები გავცე. ბუნებრივია, ადამიანის თავისუფალი არჩევანია, გაითვალისწინებს თუ არა მიღებულ რჩევას და ვერავის აიძულებ, ისე მოიქცეს, როგორც გინდა! ჩემს შვილებთანაც ასეთი მიდგომა მაქვს... უბრალოდ, მინდა ყველას ვუთხრა, რომ საკუთარი საქმე უყვარდეს! არ არსებობს წარმატება მაშინ, როცა იმას აკეთებ, რაც არ გიყვარს. არავინ იფიქროს, რომ მის ნამუშევარს ვერავინ ამჩნევს. გამორიცხულია, რომ ყოველთვის, ყველასთვის შეუმჩნეველი დარჩე!

### P. S.

მიუღწეველი მიზნები არ არსებობს! მთავარია, სწორად, ეტაპობრივად მიიწევდე დასახული მიზნისკენ! მთავარია, სწორ დროს გადადგა პირველი ნაბიჯი, შემდეგ მეორე, მესამე და არასოდეს დაიზარო შრომა. არასოდეს გაჩერდე მიღწეულზე და არ შეგიპყროს თვითკმაყოფილებამ. შრომა ყოველთვის ამართლებს.




New MICHELIN X-Ice North 3 tyre with **"Smart Stud system"** provide better grip on icy roads and improved stud fixing

- **IPRem**, special holes around stud for ice powder removal and grip
- **Cone-shaped stud base** for better fixation in rubber

*10% shorter break distance on ice and 25% improved grip. Compared to MICHELIN X-Ice North 2 tyre. Michelin internal tests.

☎ 226 44 44 info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

MICHELIN
A better way forward

# The festive opening

# TOYOTA CEN

# ტოიოტა ცენტრი თეგეტას

## საზეიმო გახსნა

On October 11 the new Toyota Motors Corporation dealer in Georgia – Toyota Center Tegeta was opened. The Mayor of Tbilisi, Mr. Davit Narmania, Ambassadors of friend states, guests from Toyota Motors Europe (TME) and Toyota Tsusho Corporation (TTC), representatives of the automobile sector, famous faces and other honorary guests attended the opening ceremony.

11 ოქტომბერს „ტოიოტა მოტორს კორპორეიშენის" ახალი დილერი საქართველოში – „ტოიოტა ცენტრი თეგეტა" გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ ქალაქ თბილისის მერი, ბატონი დავით ნარმანია, მეგობარი ქვეყნების ელჩები, სტუმრები „ტოიოტა მოტორს ევროპადან" (TME) და „ტოიოტა ცუშო კორპორეიშენიდან" (TTC), სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ცნობილი სახეები და სხვა საპატიო სტუმრები.

The Mayor of Tbilisi, Davit Narmania commented: "This is a center of rather special regional importance, emphasizing the fact that Tbilisi is the regional center."

25% of new automobiles on the Georgian market are Toyotas. There is experienced, highly qualified staff that has undergone special technical trainings employed at our service center. The center is equipped with the latest machinery and authorized programs.

**ქალაქ** თბილისის მერი, ბატონი დავით ნარმანია: „ეს არის განსაკუთრებული მნიშვნელობის და რეგიონალური დატვირთვის ცენტრი, რომელიც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თბილისი არის რეგიონალური ცენტრი".

საქართველოს ბაზარზე ახალი ავტომობილების 25%-ს „ტოიოტას" ავტომობილები შეადგენს. ჩვენს სერვის ცენტრში დასაქმებული არიან გამოცდილი, მაღალკვალიფიცური სპეციალისტები, რომლებმაც გაიარეს „ტოიოტას" სპეციალური ტექნიკური ტრენინგები. სერვისი აღჭურვილია უახლესი დანადგარებით და ავტორიზებული პროგრამებით.

„ტოიოტა ცენტრი თეგეტა" ორიენტირებულია მომხმარებლის მაქსიმალურ კომფორტსა და კმაყოფილებაზე. სწორედ

ceremony of the

# TER TEGETA
















25% of new automobiles on the Georgian market are Toyotas.

Toyota Center Tegeta is focused on providing maximum comfort and satisfaction of its customers. That is why the company has implemented a preliminary reservation service. Original spare parts, accessories and highly qualified staff are all a guarantee of top notch quality.

The opening ceremony had original elements typical to the Japanese culture.

The center is unique in the Caucasus with its size and compliance to European Toyota standards. Toyota Center Tegetais focused on providing top quality service.

ამიტომ კომპანიაში დანერგილია წინასწარ ჩაწერის სერვისი. ორიგინალი ავტოსათადარიგო ნაწილები, აქსესუარები და მაღალკვალიფიციური კადრები კი მაღალი ხარისხის გარანტიაა".

გახსნის ღონისძიება გაფორმებული იყო იაპონური კულტურისთვის დამახასიათებელი ორიგინალური ელემენტებით.

ცენტრი უნიკალურია კავკასიის რეგიონში ზომითა და „ტოიოტას" ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობით. „ტოიოტა ცენტრი თეგეტა" ორიენტირებულია მომსახურების უმაღლეს ხარისხზე.

საქართველოს ბაზარზე ახალი ავტომობილების 25%-ს „ტოიოტას" ავტომობილები შეადგენს. სერვის-ცენტრში დასაქმებული არიან გამოცდილი, მაღალკვალიფიცური სპეციალისტები


Brakes by Bosch:
The complete safety package
BOSCH
Invented for life
☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors
თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
It's Time To Choose Quality...

# PAATA BUR met with TEGETA

# პაატა ბურჭულაძე თეგეტა მოტორსის თანამშრომლებს შეხვდა

"This is a secular affair and I urge everyone to engage in the construction of the church so that they don't have any regrets later on. We are dealing with preparations taking place because there is a supposition that the icon of Iveria Virgin Mary might be brought to the Mount Makhata. That would be a great blessing and the entire nation is to be ready for that to happen" – PAATA BURTCHULADZE.



Tegeta Motors employees expressed their desire to engage in the construction process of the monastery complex on Mount Makhata. PaataBurtchuladze's arrival at Tegeta Motors was intended to clarify the details of the possible collaboration. Burtchuladze introduced the staff to the procedures necessary

**„ეს საერო საქმეა** და ყველას მოვუწოდებ, ჩაერთონ ტაძრის მშენებლობაში, რომ შემდეგ არ ჰქონდეთ სინანულის გრძნობა. საქმე გვაქვს მზადებასთან, რომელიც მიმდინარეობს იმიტომ, რომ არსებობს ვარაუდი, ივერიის ღვთისმშობლის ხატის მახათას მთაზე ჩამობრძანების შესახებ. ეს უდიდესი მადლია და მთელი ერი სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს." – პაატა ბურჭულაძე.

თეგეტა მოტორსის თანამშრომლებმა სურვილი გამოთქვეს, მახათას მთაზე მიმდინარე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში ჩართულიყვნენ. დეტალებში გასარკვევად პაატა ბურჭულაძე „თეგეტა მოტორსს" ესტუმრა. მან თანამშრომლებს ქველმოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად გასავლელი პროცედურები გააცნო. საქართველოში მოქმედ ყველა ბანკში გახსნილია ფონდ „ივერიის" ანგარიში. ყველა მსურველს შეუძლია მივიდეს ბანკში და თანხმობა განაცხადოს იმის შესახებ, რომ მისი ანგარიშიდან, თვეში ერთხელ, ერთი ლარი გადაირიცხოს ფონდის ანგარიშზე.

თბილისში, მახათას მთაზე, სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის ინიციატორიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ილია მეორე. სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას პაატა ბურჭულაძე ხელმძღვანელობს. სპეციალურად მშენებლობისთვის დაფუძნდა ფონდი „ივერია". მშენებლობას კონკრეტული ინვესტორი არ

# CHULADZE MOTORS Employees



Mr. Paata Burchuladze and
Mr. Temur Kokhodze
ბ-ნი პაატა ბურჭულაძე და
ბ-ნი თემურ კოხოძე

A monastery complex is currenlyebing constructed in Tbilisi, on Mount Makhata

to contribute to the charity. There is an account for the "Iveria" Foundation in every Georgian bank. Any volunteer can go to the bank and agree to have 1 GEL transferred to the Foundation from their account on a monthly basis.

A monastery complex is currenlyebing constructed in Tbilisi, on Mount Makhata. Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan bishop of Abkhazia and Bichvinta, His Holiness and Beatitude Ilia II was the initiator of thisprocess. PaataBurtchuladze is in charge of the construction process. The Foundation "Iveria" was established particularly for the construction of this monastery complex. The project does not have a specific investor and anyone willing to contribute is welcome to do so. This temple is unique in this sense – there has never been a case in the world where a construction of such a scale supported entirely by the citizens. It should also be noted that this won't be just a monastery complex, once completed, it will also serve as an education center. The education center will support the spread of Christianity in the civil society. There will also be a shelter for the homeless and an addiction rehabilitation center existing under the auspices of the monastery.

A recreation zone is to be built around the monastery. Anyone can participate in planting greenery on the nearby territory as well as the construction process. According to PaataBurtchuladze, the locals are actively engaged in work and there have been many trees planted under a particular person's name.

As of workplaces employing over 50 people, the "Iveria" Foundation expressed its readiness to solve organizational matters on its own.

Volunteers are welcome to participate in construction under the name of family members, and as many of them as they like.

It is also worth mentioning that charity can be done under the name of the deceased as well. In this case, volunteers fill in a special form where they indicate the name and the surname of the deceased and each GEL transferred to the foundation will be under their contribution.



ჰყავს, მასში ჩართვა ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ამ მხრივ, ტაძარი უნიკალურია, მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი იმისა, რომ ამ მასშტაბის მშენებლობა მთლიანად მოსახლეობის მხარდაჭერით მიმდინარეობდეს. აღსანიშნავია, რომ ეს არ იქნება მხოლოდ სამონასტრო კომპლექსი; მშენებლობის დასასრულს, მას საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციაც ექნება. საგანმანათლებლო ცენტრი ხელს შეუწყობს საერო საზოგადოებაში ქრისტიანობის გავრცელებას. მონასტერთან ასევე იარსებებს თავშესაფარი ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის და ნარკოლოგიის სარეაბილიტაციო ცენტრი.

მონასტრის გარშემო განთავსდება რეკრეაციული ზონა. ახლომდებარე ტერიტორიების გამწვანებაში მონაწილეობა, ისევე, როგორც მშენებლობაში, ყველა მსურველს შეუძლია. პაატა ბურჭულაძის თქმით, მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს ამ საქმეში და უკვე უამრავი ხეა დარგული კონკრეტული ადამიანის სახელზე.

რაც შეეხება სამსახურებს, სადაც ორმოცდაათზე მეტი ადამიანი მუშაობს, ფონდი „ივერია" გამოთქვამს მზადყოფნას, რომ თავად მოაგვაროს საორგანიზაციო საკითხები.

მსურველებს შეუძლიათ, რომ ოჯახის წევრების სახელზეც მიიღონ მონაწილეობა მშენებლობაში. რაოდენობის არჩევაში მსურველი თავისუფალია.

აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია გარდაცვლილების სახელზე ქველმოქმედება. ამ შემთხვევაში, მსურველი ავსებს სპეციალურ ფორმას, სადაც მიუთითებს გარდაცვლილის სახელსა და გვარს. ყოველი ერთი ლარი მის სახელზე იქნება გადარიცხული.

პაატა ბურჭულაძის თქმით, თანხის რაოდენობაში შეზღუდული არავინაა, უბრალოდ, მიუხედავად იმისა, რამდენ ლარს შეადგენს შემოწირულობა, გადამრიცხავის სახელზე მხოლოდ ერთი ლარი იგულისხმება, დანარჩენი თანხა შეიძლება განაწილდეს სხვის სახელზე, სურვილისამებრ.

აქციაში ჩართვა შეუძლიათ საზღვარგარეთ მცხოვრებებსაც, ისინი, იმიტომ რომ არ იმყოფებიან საქართველოს საზღვრებს შიგნით, უფლებამოსილნი არიან, გადარიცხვა განახორციელონ არა ყოველ თვე, არამედ – წელიწადში ერთხელ.

თავის მხრივ, პაატა ბურჭულაძემ „თეგეტა მოტორსის" თანამშრომლებს მოუწოდა, ჩაერთონ ამ აქციაში და საზოგადოებასთან ერთად აკეთონ საერო საქმე.




i*Pike RW11

Exceptional winter tire satisfying on & off-road winter performance needs

HANKOOK
driving emotion

hankooktire.ru

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It's Time To Choose Quality...

# PORS

## performance drive

An unforgettable adventure organized by PORSCHE took off on October 9



# CHE




## PORSCHE Cayenne S

ENGINE – **V6 Bi Turbo**

VOLUME – **3604 $cm^3$**

POWER – **420 hp**

TORQUE – **550nm/1350**

ACCELERATION 0-100 km/h – **5.5 sec.**

AVERAGE FUEL CONSUMPTION – **9.5 liters**











A Fourteen teams representing ten countries from Central and Eastern Europe took off to cover a 1550 kilometer distance. The aim of the event was to test the new Porsche Cayenne S. Representing Georgia in the "race" are the Commercial Director for Porsche, KetevanKhuntsaria, Editor of Auto Bild Georgia, ShalvaBuachidze, Journalist at "Rustavi 2", Paatalakobishvili and the Founder of Marketer.ge, AkakiAkhalaia.

The Porsche Performance Drive started in Trabzon, then the participants drove across Batumi, Akhaltsikhe, Tbilisi, Stepantsminda and Lagodekhi and crossed the finish line in Baku. The passengers of the automobile had the chance to overcome all kinds of challenges on the road from the Black Sea to the Caspian Sea and see for themselves, how comfortable and trustworthy it is in any condition. The Commercial Director for Porsche and participant of the race, Ketevan Khuntsaria elaborated on the event:

"Different from other participants the tour for the Porsche Georgia Team began in Tbilisi, we drove to Trabzon and back from Baku to Tbilisi as well, thus covering 3000 kilometers instead of the appointed 1550. I drove from Tbilisi to Trabzon and it was my first drive on such a long distance, but I can say that when the automobile is good enough, the drive becomes a fun experience, instead of an exhausting obligation; when you can adjust the seat to your body, when the dynamics bring "shaking" to the minimum and the suspension is adapted to the speed, there can be no problems. It's not a Porsche representative speaking, I say



**Porsche Center Tbilisi**
**პორშე ცენტრი თბილისი**

## 9 ოქტომბერს სტარტი აიღო **პორშეს** მიერ ორგანიზებულმა დაუვიწყარმა თავგადასავალმა

**ათი ქვეყნის** თოთხმეტი წარმომადგენელი გუნდი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან 1550 კილომეტრიანი დისტანციის დაფარვას შეუდგა. ღონისძიების მიზანი ახალი Porsche Cayenne S-ის ტესტირება იყო. საქართველოდან „რბოლაში"




this as a participant and other team-members are bound to confirm.

As of the tour, it was an unforgettable experience. Each day was a mystery, we never knew what was ahead of us. We were told the distance we had to cover and the time we had to do it in the morning. Keeping up with the timing was very important, arriving earlier or later the participants were fined and the team to consume the least petrol would have the advantage. We only knew the point of destination marked on a special tab



**Georgian team in Trabzon**
**ქართველი მონაწილეები ტრაპზონში**






**Turkey, Sumela Monastery**
**თურქეთი, სუმელის მონასტერი**

map and the map did not have routes on it, which made the competition more interesting and extreme; there were cases of participants being "lost" and having to spend more time to cross the finish line.

It was my first time participating and it was a very impressive experience; everyone else is just as stunned with the event and fascinated with Georgian

მონაწილეობას „პორშეს" კომერციული დირექტორი, ქეთევან ხუნწარია, Auto Bild Georgia-ს რედაქტორი, შალვა ბუაჩიძე, „რუსთავი 2-ის" ჟურნალისტი, პაატა იაკობიშვილი და Marketer.ge-ს დამფუძნებელი, აკაკი ახალაია იღებდნენ.

Porsche Performance Drive-მა სტარტი ტრაპზონში აიღო, შემდეგ, მონაწილეებმა ბათუმი, ახალციხე, თბილისი, სტეფანწმინდა და ლაგოდეხი გაიარეს, ფინიში კი ბაქოში შედგა. ავტომობილში მსხდომებს საშუალება ჰქონდათ,





Georgia, Tianeti
საქართველო, თიანეთი



Georgia, Stefantsminda
Gergeti Sameba
საქართველო, სტეფანწმინდა
გერგეთის სამება



Georgia, Lagodekhi
საქართველო, ლაგოდეხი

nature. They noted that it was the most impressive tour which was only enhanced by a surprise from Porsche –there was a line of Porsche sports cars waiting for us in Gudauri and we had the chance to test them on the pass; this was just a gesture to remind us of the history of the brand.

The team representing Hungary won the competition, though I'd like to

ყველანაირი წინაღობა გადაელახათ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და თავად დარწმუნებულიყვნენ, რამდენად კომფორტულია და სანდოა ის ნებისმიერ გარემოსა და პირობებში. ღონისძიების შესახებ დაწვრილებით „პორშეს" კომერციულმა დირექტორმა და მონაწილემ, ქეთევან ხუნწარიამ ისაუბრა:

„სხვა მონაწილეებისგან განსხვავებით, „პორშე" – საქართველოს" გუნდის ტური თბილისიდან დაიწყო. ტრაპზონამდე ჩავედით ავტომობილით და ბაქოდანაც უკან

ჩამოვედით, თბილისში, შესაბამისად, წინასწარ დათქმული 1550 კილომეტრის ნაცვლად, საქართველოს გუნდმა 3000 კილომეტრი დაფარა. თბილისიდან ტრაპზონამდე საჭესთან მე ვიჯექი. პირველად ვმართავდი ავტომობილს ამხელა დისტანციაზე, თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ როცა ავტომობილი ხელს გიწყობს, მგზავრობა არათუ დამღლელი, არამედ სახალისოც კია; როცა შეგიძლია, სავარძელი მოირგო შენს აღნაგობაზე, დინამიურობის წყალობით მინიმუმამდეა დაყვანილი „რყევა“ და სიჩქარეზეა ადაპტირებული სავალი ნაწილი, მაშინ პრობლემა არ არსებობს. ამ შემთხვევაში, არ ვსაუბრობ როგორც „პორშეს“ წარმომადგენელი, ამას ჩემი გუნდის სხვა წევრებიც დამიდასტურებენ.

რაც შეეხება უშუალოდ ტურს, დაუვიწყარი შთაბეჭდილება მივიღეთ. ჩვენი ყოველი დღე იყო ამოუცნობი, წინასწარ არასდროს ვიცოდით, რა გველოდა. დილით გვეუბნებოდნენ თუ რა დისტანცია უნდა დაგვეფარა და რა დროში. დანიშნულების ადგილზე მისვლისას, წინასწარ განსაზღვრული დროის დაცვა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ნაადრევი და დაგვიანებული ფინიშისთვის ჯარიმდებოდი და უპირატესობა ენიჭებოდა გუნდს, რომელიც ყველაზე ნაკლებ საწვავს დაწვავდა. ჩვენ მხოლოდ დანიშნულების ადგილი ვიცოდით, რომელიც გამოსახული იყო სპეციალური პლანშეტის რუკაზე, მაგრამ მისასვლელი გზები არ ჩანდა, ეს კიდევ უფრო საინტერესოსა და ექსტრემალურს ხდიდა შეჯიბრს.

Porsche Performance Drive-მა სტარტი ტრაპზონში აიღო, შემდეგ, მონაწილეებმა ბათუმი, ახალციხე, თბილისი, სტეფანწმინდა და ლაგოდეხი გაიარეს, ფინიში კი ბაქოში შედგა


Georgia, Stefantsminda
საქართველო, სტეფანწმინდა


Turkey, Samela Monastery
თურქეთი, სამელას მონასტერი


Georgia, Goderdzi Pass
საქართველო, გოდერძის უღელტეხილი


Turkey, Trabzon
თურქეთი, ტრაპზონი



Georgia, Akhmeta
საქართველო, ახმეტა



Turkey, Trabzon
თურქეთი, ტრაპზონი



Turkey, Samela Monastery
თურქეთი, სუმელას მონასტერი



Azerbaijan , Baku
აზერბაიჯანი, ბაქო




Sarfi
სარფი



Georgia, Batumi
საქართველო, ბათუმი




say that participation was really what mattered in our case, we did not follow the rules that would lead us to success. Our priority was to test out all features of the automobile and drove mainly in sports mode, which surprised out "competitors" very much. There were cases when they pushed their cars to spend less fuel, whereas we had a humorous approach to the issue. At the Goderdzi Pass there was an old man driving a carriage, we attached the car to it and the main message was that

იყო შემთხვევები, როდესაც მონაწილეები „იკარგებოდნენ", შესაბამისად, უფრო დიდხანს ვერ მიდიოდნენ ფინიშამდე.

მე პირველად ვიყავი მონაწილის როლში. შთაბეჭდილებაც დაუვიწყარი მაქვს. ასეა ყველა, ვინც ჩემთან ერთად მონაწილეობდა ამ ღონისძიებაში; ყველა აღფრთოვანებულია საქართველოს ბუნებით, აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე შთამბეჭდავი ტური იყო. ეს კიდევ უფრო გაამძაფრა „პორშეს" მიერ მოწყობილმა მოულოდნელმა საჩუქარმა – გუდაურში დაგვახვედრეს „პორშეს" სპორტქარების სამოდელო რიგი და გაგვატესტინეს უღელტეხილზე. ეს ისე, რომ არ დაგვიწყებოდა, საიდან მოდის ამ ბრენდის ისტორია.

ღონისძიებაში უნგრეთის წარმომადგენელმა გუნდმა გაიმარჯვა, თუმცა, მინდა ვთქვა, რომ ჩვენს შემთხვევაში



Georgia, Stefantsminda
Gergeti Sameba
საქართველო, სტეფანწმინდა
გერგეთის სამება



Georgia, Kazbegi Pass
საქართველო, ყაზბეგის უღელტეხილი



Georgia, Tianeti
საქართველო, თიანეთი

pushing a car to save fuel is just the same as attaching it to a carriage.

We won the ninth place among fourteen teams, which is a relatively good result considering it was our first time participating. This was not really a competition, rather a fun experiment aiming to test the automobile on long distances and off-road conditions and also keep the participants excited, not have them stop in the same place for too long so that they wouldn't feel tired.

მთავარი იყო მონაწილეობა და არა გამარჯვება. ზედმიწევნით არ ვიცავდით წესებს, რომელსაც ჩვენთვის გამარჯვება უნდა მოეტანა. ჩვენ შემთხვევაში, პრიორიტეტი იყო ის, რომ ავტომობილის ყველა მონაცემი გამოგვეცადა და ძირითადად სპორტულ რეჟიმში ვიარეთ, რამაც ჩვენი „კონკურენტები" ძალიან გააკვირვა. იყო შემთხვევები, როცა მანქანებს აწვებოდნენ, რათა ნაკლები საწვავი დაეხარჯათ, ჩვენ ამ საკითხს ცოტა იუმორისტულადაც კი მივუდექით. გოდერძის უღელტეხილზე შემოგვხვდა ბაბუ, რომელიც ურემს მართავდა, ჩავაბით ავტომობილი და მთავარ მესიჯად მივიჩნიეთ ის, რომ საწვავის ეკონომიის მიზნით ავტომობილზე მიწოლა იგივეა, რაც მისი ურემზე ჩაბმა და ამ გზით საწვავის დაზოგვა.




Azerbaijan Border
აზერბაიჯანის საზღვარი

The team representing Hungary won the competition

I'd like to say a couple of words about safety norms that were on the highest level throughout the entire tour. Upon the takeoff of the race, there was already a special team out on the possible route we could take; besides,all automobiles were equipped with GPRS using which the organizers could track us at any point in time. We also had a closing car which was the last in the tour, there were no participants behind it and in case of an emergency it would drive to where we were to provide either first aid or any necessary car services. Though the only assistance we actually needed was a tire change in which the representatives of Poland helped us out.

The main thing behind all of this is that all participants completed the route full of impressions. Besides, I am glad that Porsche selected Georgia for the Porsche Performance Drive, which proves that Georgia is a market of interest to this brand. Porsche Cayenne is the most popular model here and from now on, all our customers can drive one – this is the automobile for which there are no unsurmountable obstacles!"

თოთხმეტი გუნდიდან მეცხრე ადგილზე გავედით, რაც ნორმალური შედეგია იმის ფონზე, რომ პირველად მივიღეთ მონაწილეობა. რეალურად, ეს არ იყო შეჯიბრი, ეს იყო სახალისო ტესტი, რომლის მთავარი მიზანიც იყო ავტომობილის გამოცდა გრძელ დისტანციებსა და უგზოობაზე.

მინდა ვთქვა, რომ უსაფრთხოების ზომები უმაღლეს დონეზე იყო დაცული. სტარტის აღებისას, სპეციალური ჯგუფი უკვე გასული იყო სავარაუდო გზაზე, რომელიც ჩვენ უნდა გაგვევლო; გარდა ამისა, ყველა ავტომობილი აღჭურვილი იყო ჯიპიარესით, რომლის საშუალებითაც ორგანიზატორებს შეეძლოთ, დაედგინათ ჩვენი ადგილსამყოფელი. გვყავდა ასევე ჩამკეტი მანქანა, რომლის უკანაც არცერთი მონაწილე აღარ მოძრაობდა და რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიულად გაჩნდებოდა დანიშნულების ადგილზე, ექიმი, რომელიც აღმოგვიჩენდა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და სერვისი, რომელიც ავტომობილების გამართულობას უზრუნველყოფდა.

მთავარი კი ის არის, რომ უკლებლივ ყველა მონაწილემ შთაბეჭდილებებით აღსავსემ დაასრულა მონაწილეობა. გარდა ამისა, მოხარული ვარ, რომ „პორშემ" Porsche Performance Drive-ისთვის ლოკაციად საქართველო აირჩია, რაც იმის დასტურია, რომ ჩვენი ქვეყანა მათთვის საინტერესო ბაზარია. აქ „პორშე კაიენი" ყველაზე პოპულარული მოდელია და ამიერიდან ჩვენს ყველა მომხმარებელს შეუძლია, თავისუფლად მართოს „პორშე". ეს არის ავტომობილი, რომლისთვისაც არ არსებობს გადაულახავი წინაღობა"!


ხელსაწყოები ჩემპიონებისთვის
Official Partner
DUCATI
OFFICIAL SUPPLIER
USAG რბოლებში
ავტო-მოტო სპორტის ფარგლებში USAG-იმ საკუთარი ბრენდი დაუკავშირა ისეთ საუკეთესო გუნდებს, როგორებიცაა: Ducati Corse და Scuderia Toro Rosso (ფორმულა 1) რომლებიც სპეციალისტების და ენთუზიასტების აღფრთოვანებას იწვევენ.
და რა თქმა უნდა მათი წარმატების ერთ-ერთი ფორმულა სწორედ რომ USAG-ის ხელსაწყოებია.
USAG
usag-tools.com
☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors
თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
It's Time To Choose Quality...

# The 10th Anniversary

# BRIDG

# BLACK SEA CUP by Tegeta

The 10th anniversary BRIDGESTONE BLACK SEA CUP organized by TEGETA MOTORS and BRIDGESTONE was once again held in BATUMI





# ESTONE

## Motors and Bridgestone








Data Kajaia is the winner of the 12-hour extreme and intense race, Oto Tavarktiladze arrived second and Vano Mdzeluri was awarded the third place. Up to 70 automobiles participated in this distinctive, exciting and long race; female racers were also engaged in the contest. It must be noted that the winner of the Bridgestone Black Sea Cup 2014 is one of the most titled Georgian racers. Data Kajaia is the current European Champion; he represented the Ministry of Internal Affairs team – MIA Force at the competition. .

Representatives from Bridgestone Corporation and Mitsubishi Corporation, as well as a delegation from Motul arrived to attend the event. Representatives of the Tegeta Motors top management also observed the race. The event was organized under the auspices of the Batumi City Hall.







Up to 70 automobiles participated in this distinctive, exciting and long race, female racers were also engaged in the contest







# თეგეტა მოტორსისა და ბრიჯსთოუნის მე-10 საიუბილეო ავტორბოლა BRIDGESTONE BLACK SEA CUP

თეგეტა მოტორსისა და ბრიჯსთოუნის მე-10 საიუბილეო ავტორბოლა BRIDGESTONE BLACK SEA CUP წელს ისევ ბათუმში გაიმართა

**12-საათიანი** დაძაბული და ექსტრემალური რბოლის გამარჯვებული დათა ქაჯაია გახდა, მეორე ადგილი ოთო თავართქილაძემ დაიკავა, ხოლო მესამე – ვანო მძელურმა. გამორჩეულ, სანახაობრივად საინტერესო, ხანგრძლივ შეჯიბრში 70-მდე ავტომრბოლელი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ ქალბატონებიც. აღსანიშნავია, რომ Bridgestone Black Sea Cup 2014-ის გამარჯვებული ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ავტომრბოლელია. დათა ქაჯაია ევროპის მოქმედი ჩემპიონია. შეჯიბრზე ის წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდ MIA Force-ს.






















## სანახაობრივად საინტერესო, ხანგრძლივ შეჯიბრში 70-მდე ავტომრბოლელი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ ქალბატონებიც

სპეციალურად ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდნენ „ბრიჯსთოუნ კორპორეიშენის“ და „მიცუბიში კორპორეიშენის“ წარმომადგენლები იაპონიიდან, ასევე დელეგაცია კომპანია Motul-იდან. შეჯიბრს ესწრებოდნენ „თეგეტა მოტორსის" ტოპ მენეჯმენტის წარმომადგენლები. ღონისძიება გაიმართა ბათუმის მერიის პატრონაჟით.


MADE IN GERMANY
Since 1950
A pleasant car interior?
Leave it to the SONAX cleaning staff!
With SONAX Car Interior Cleaner, Upholstery Foam, Leather Care Lotion, the plastic and wood restorers, and many more, the SONAX cleaning team brings cleanliness and freshness to your vehicle. If you wish to feel at home in your car, get the SONAX professionals to work!
SONAX
www.sonax.com
226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors
თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
It's Time To Choose Quality...

# Interesting FACTS about automobiles



# საინტერესო ფაქტები ავტომობილების შესახებ

## WHY AUTOMOBILES?

People have always been trying to invent things that would ease their physical work. Unfortunately, we don't know the first genius inventor to come up with a wheel and then attached a carriage box to these wheels so that they could transport weights from one location to another. This invention later took up the function of a transport – carriages were made and their design and functionality was perfected in time. Finally, humanity received the greatest gift in the form of a "self-operating carriage" and this invention required a name. Autos in Greek means "on its own", "independently" whereas "mobilis" in Latin means – moving. This is why the new invention was called an automobile.

## რატომ ავტომობილი?

ადამიანები ოდითგანვე ცდილობდნენ ისეთი რაღაცების გამოგონებას, რაც მათ მძიმე ფიზიკურ შრომას გაუადვილებდა ან შეუმსუბუქებდა მაინც. დღეს, ცხადია, უკვე აღარ არის ცნობილი იმ პირველი გენიოსი გამომგონებლის ვინაობა, ვინც ბორბალი გამოიგონა და შემდეგ ამ ბორბლებზე ურიკა მიამაგრა, რომ სიმძიმის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა ყოფილიყო შესაძლებელი. მოგვიანებით ამ გამოგონებამ სატრანსპორტო საშუალების ფუნქციაც შეითავსა, გაჩნდა ეტლები. დროთა განმავლობაში მათი დიზაინიც და ფუნქციურობაც სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა. საბოლოოდ, კაცობრიობამ მიიღო უდიდესი საჩუქარი „თვითმოძრავი ეტლის“ სახით და ამ გამოგონებისთვის სახელის შერჩევა გახდა საჭირო. ბერძნულად autós ნიშნავს „თვითონ", ხოლო ლათინურად mobilis – „მოძრავი". სწორედ ამიტომ ახალ გამოგონებას ავტომობილი დაარქვეს.



Tori Praver for Women's Health

## ARE AUTOMOBILES ANIMATE OBJECTS?

Have you ever thought why people often refer to their automobiles as if they had sex and gender? Automobiles are inanimate objects and thus, according to the rules of grammar, they should be referred to as it. But here's the case: you probably know that before the automobile was invented transportation was carried out with live forces (horses, donkeys, bulls…). These animals were of different sex and their owners were so attached to them that they acknowledged them as personalities and often personified them by referring to them as "her" or "him". Even though automobiles are inanimate as such, they often have personalities as well and thus the "tradition" or the habit – if you will - has remained.




## ავტომობილი – სულიერია?

დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რატომ ვამბობთ – ავტომანქანა მყავს და არა ავტომანქანა მაქვს? მანქანა ხომ უსულო საგანია და შესაბამისად, წესების მიხედვით მას უნდა შეესაბამებოდეს ზმნა მაქვს. თუმცა, საქმე აი, რაში ყოფილა: გეცოდინებათ, რომ ძველად, ავტომობილის გამოგონებამდე, ცოცხალი გამწევი ძალა (სატრანსპორტო საშუალება) ცხოველი იყო (ცხენი, ვირი, კამეჩი, ხარი…). შესაბამისად „ მყავს ცხენი" „მყავს ვირი" – სავსებით ბუნებრივად ჟღერდა. გავიდა დროს და ცოცხალი გამწევი ძალა მანქანამ ჩაანაცვლა, ადამიანთა ცნობიერებაში კი სატრანსპორტო საშუალება მაინც ცოცხალ ძალას დაუკავშირდა. ეს გამონაკლისი შემთხვევაა და სხვა ყველა უსულო საგნის მფლობელობის აღსანიშნავად, ცხადია, გამოიყენება ზმნა – მაქვს!




Safety was a major consideration in the design of the all-new 2014 Jeep Cherokee

The name Jeep was created from a short version of a General Purpose Vehicle




1913 Willys Overland Model 69 Touring emblem



Willys Jeep MB Tractor with 2 pdr gun (40 mm/1.57 in)

## FROM THE HISTORY OF THE JEEP

The name Jeep was created from a short version of a General Purpose Vehicle (it's a kind of an acronym); this automobile first showed up during WWII. In 1941 the US army conducted a tender for purchasing light and reliable automobiles. The company Willys-Overland won the tender. Looks like the price this company offered played a crucial role at that time – each car cost only 738,74 US dollars. The good thing was that, despite the price, the automobiles manufactured by Willys-Overland were almost universal. They were used for transporting the injured, intelligence operations and even retaining grenade launchers. Besides, due to endurance and sizes, these jeeps often had to take in the functions of trucks as well. In documents the cars were referred to as GP – implying General Purpose. The assumption is that the name Jeep was a result of the sound combination letters G and P make. Although there is no unequivocal knowledge of the origins of the name; here's another version of the story for balance and objectivity – At the time the Jeep came out on the market there was a very popular comic character Eugene Jeep – a small animal of unknown species with a big nose. The Americans referred to everything with that name. From people to airplanes. Thus, in 1936 the Halliburton Oil Well Cementing Company called its Off-road vehicle FWD a Jeep. There was Jeep written on both sides of the car. A year later, in 1937 a military helicopter YB17 was called a Jeep. In the beginning of the 40's American newspapers published photos of a tug vehicle MM NTX with a headline: "Jeep helps heroes save lives".

# ჯიპის ისტორიიდან...

სახელწოდება Jeep («ჯიპი») შეიქმნა სამხედრო უნივერსალური ავტომანქანის შემოკლებული დასახელებისაგან (ერთგვარი აბრევიატურაა). ეს ავტომობილი პირველად მეორე მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა. 1941 წელს აშშ-ს არმიამ ჩაატარა ტენდერი მსუბუქი და სანდო ავტომანქანების შეძენაზე. ტენდერში გაიმარჯვა კომპანია Willys-Overland–მა. როგორც ჩანს, მაშინ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ კომპანიის მიერ შეთავაზებულმა ფასმა – ერთი მანქანის ღირებულება სულ რაღაც 738,74 ამერიკული დოლარი იყო. სასიხარულო კი ის გახლდათ, რომ ფასის მიუხედავად, კომპანია Willys-Overland-ის მიერ წარმოებული ავტომანქანები ლამის უნივერსალური აღმოჩნდა. მას დაჭრილების ტრანსპორტირებისთვისაც იყენებდნენ, სადაზვერვო ოპერაციებისთვისაც და ყუმბარმტყორცნების დასამაგრებლადაც. ამასთან, გამძლეობისა და გაბარიტების გამო, ჯიპებს ხშირად სატვირთოს ფუნქციის შეთავსებაც უხდებოდათ. სწორედ ამის გამო დოკუმენტაციაში მანქანებს შემოკლებულად მოიხსენიებდნენ როგორც GP – რაც ნიშნავს General Purpose – საერთო დანიშნულება. თუმცა, ნამდვილად რთული სათქმელია, შემოკლებული GP-დან როგორ გამოვიდა სახელი Jeep... ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი და შეთანხმებული მოსაზრება სახელის წარმოშობის შესახებ არ არსებობს. ობიექტურობისთვის მოისმინეთ ასეთი ვერსიაც – ჯიპის ბაზარზე გამოსვლის დროისთვის არსებობდა კომიქსების ერთი ძალიან პოპულარული პერსონაჟი, პატარა, გაურკვეველი ჯიშის დიდცხვირა ცხოველი – იუჯინ ჯიპი. ამერიკელები ამ სახელით მოიხსენიებდნენ ყველაფერს, ადამიანიდან დაწყებული, თვითმფრინავით დამთავრებული. ამგვარად 1936 წელს კომპანიამ Halliburton Oil Well Cementing ჯიპი დაარქვა სამოქალაქო ყველგანმავალ ავტომანქანას (Off-road vehicleве) FWD. მანქანას ორივე მხარეს ეწერა – Jeep. ხოლო 1 წლის შემდეგ, 1937 წელს, ჯიპი დაარქვეს სამხედრო ვერტმფრენს YB17. 40-იანი წლების დასაწყისში ამერიკულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს მაბუქსირებელი ავტომობილის MM NTX სურათები, რომელსაც სათაურად ეწერა: „ჯიპი ეხმარება გმირების სიცოცხლის გადარჩენაში".



The Renegade Concept is a B-segment two-seater off-road vehicle that will be unveiled by Jeep at the 2008 Detroit Motor Show

2003 – In staging the introduction of the Jeep Treo 'Urban Mobility Vehicle' at the 37th Tokyo Motor Show







The Treo has a very expansive interior, which seems very large, and open




The Jeep Hurricane is a concept vehicle that was unveiled at the 2005 North American International Auto Show in Detroit




The world's first licence plate, registered 1899 i Munich by Daniel & Hermann Beissbarth

## THE STORY OF LICENSE PLATES

To some automobile owners, their cars are more than just transporting devices. When selecting a car, buyers don't only pay attention to the technical features of the automobile, but also look closely at the color, design, interior and other tiny details.  It's an interesting fact that first license plates were made for horse carriages. Later, once automobiles were released, each one of them was attached a personal license plate. The first license plate appeared in Munich in 1899; a year later, in Paris, New York and London. Exclusive license plates are also rather popular these days – with special combinations of desired letters and numbers. According to the legend, the precondition for that was a passionate yet single-sided love of a Berliner car enthusiast. His beloved was called Iohanna Anker and the man in love had his license plate made exclusive IA 1 – the initials of his beloved woman and number one – to denote the one and only love. In our country, there is a fee for receiving a set of particular state license plate numbers. One of the most demanded and expensive numbers are the ones with the same Latin letters and a choice of number combinations: 111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999. Purchasing such a license plate will cost you 800 GEL.

## სანომრე ნიშნების ისტორია

ზოგი ავტომფლობელისთვის საკუთარი ავტომობილი, სატრანსპორტო საშუალების გარდა, სხვა მნიშვნელობების მატარებელიცაა. მყიდველები შეძენისას მანქანის ტექნიკური მაჩვენებლების შერჩევის პარალელურად, დიდი მონდომებით და არანაკლები ყურადღებით არჩევენ მანქანის ფერს, დიზაინს, ინტერიერს, ყურადღებას აქცევენ უმცირეს დეტალებს. საინტერესოა, რომ პირველი სანომრე ნიშნები ჯერ კიდევ ცხენებშებმული ეტლებისთვის იყო განკუთვნილი. მოგვიანებით, ავტომობილების გამოჩენისთანავე, დაიწყეს თითოეული ავტომობილისთვის საკუთარი სანომერე ნიშნის მიკუთვნება. პირველი სანომრე ნიშანი ავტომობილისთვის მიუნხენში გაჩნდა, 1899 წელს. ერთი წლის შემდეგ კი უკვე პარიზში, ნიუ-იორკში და ლონდონში. დღესდღეობით საკმაოდ პოპულარულია ექსკლუზიური სანომრე ნიშნებიც სასურველი ასოებისა და ციფრების კომბინაციით. ლეგენდის თანახმად, ამის წინაპირობა ბერლინელი ავტომფლობელის უპასუხო და მხურვალე სიყვარული იყო. რჩეულს იოჰანნა ანკერი ერქვა და შეყვარებულმა კაცმა სპეციალურად დაამზადებინა თავისი ავტომობილისთვის სანომრე ნიშანი – IA 1 – საყვარელი ქალის ინიციალები და ნომერი პირველი – ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარულის აღსანიშნავად. ჩვენს ქვეყანაში სასურველი სახელმწიფო სანომრე ნიშნის ერთი წყვილის გაცემა შეთანხმებული კომბინაციით ფასიანია. ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და ძვირადღირებულია ნომერი, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო იდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაციაა: 111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999. ასეთი სანომრე ნიშნის შეძენა 800 ლარი დაგიჯდებათ.






MAN TRUCK & BUS AG-ს ოფიციალური იმპორტიორი
საქართველოში შპს "თეგეტა თრაქ ენდ ბას".
საქართველო, ქ. თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5.

☎ 224 - 47 - 44

info@ge.man-mn.com
www.man.com.ge



# Prepare your automobile for WINTE

It's winter for your automobile once the temperature drops below +7° Celsius. It is important to have the automobile – being the most comfortable means of transportation in winter – prepared and maintained



The first piece of advice even an average car enthusiast will give you is to change the tires with the approach of winter. Seasonal tires must be used according to the calendar. The chemical composition of tires changes with the decrease of temperature and they become more rigid which lowers the level of grip. The advantage of winter tires is a higher grip level which shortens the breaking distance. Of course, using winter tires in summer is not recommended either.

Winter tires always have a snowflake on the side. You will also notice the writing M+S (Mud+Snow).

If you decide to use the tires from last year, you absolutely must check the protector height. According to Georgian rules, the protector height must be no less than 1.6 mm. in passenger cars.



# მოამზადეთ ავტომობილი ზამთრისთვის

**თქვენი** ავტომობილისთვის ზამთარი მაშინ დგება, როცა ჰაერის ტემპერატურა +7° ცელსიუსამდე ეცემა. მნიშვნელოვანია, რომ ავტომობილი, რომელიც ზამთრობით ყველაზე კომფორტული გადაადგილების საშუალებად იქცევა ხოლმე, მომზადებული და ტექნიკურად გამართული იყოს.

პირველი რჩევა, რასაც საშუალო დონის ავტომოყვარულიც კი მოგცემთ, ზამთრის დადგომისთანავე საბურავების შეცვლაა. სეზონური საბურავები მხოლოდ კონკრეტულ სეზონზე უნდა გამოიყენოთ. საბურავების ქიმიური შემადგენლობა ტემპერატურის დაცემასთან ერთად იცვლება და ხისტი ხდება. შედეგად კი მოჭიდების მაჩვენებელი მცირდება. ზამთრის საბურავების უპირატესობა ისაა, რომ მოჭიდების მაჩვენებელი დიდია, რაც სამუხრუჭე მანძილს ამცირებს. რა თქმა უნდა, არც ზამთრის საბურავების გამოყენებაა რეკომენდებული ზაფხულში.

ზამთრის საბურავებს, როგორც ყოველთვის, გვერდითა მხარეს ფიფქი ახატია. ასევე, შეხვდებით წარწერასაც M+S (Mud+snow) რაც მის ტალახსა და თოვლში გამოყენებაზე მიუთითებს.

Another detail you must pay attention to is antifreeze. This liquid has oiling and anti-corrosion functions. There are different brands and colors of the product. Experts suggest the use of red antifreeze, though not for all automobiles. Antifreeze should be at 35-50% in winter. Pay attention to the degree, if it's too low, the antifreeze might damage the pump.

Antifreeze should also be added to the windshield cleaning liquid. With that you will avoid it freezing.

In order to provide passenger security, the heater must be maintained in winter. If damaged, it causes the windows to fog and reduces visibility.

თუ გასული წლის ზამთრის საბურავების გამოყენება გადაწყვიტეთ, აუცილებლად გაზომეთ საბურავის პროტექტორის სიმაღლე. საქართველოში, წესების მიხედვით, საბურავის პროტექტორის სიმაღლე 1.6 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მეორე დეტალი, რომელსაც აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება, „ანტიფრიზია“. გაყინვის საწინააღმდეგო სითხეს შეზეთვისა და ანტიკოროზიული ფუნქციები აქვს. ის განსხვავდება ფერისა და მწარმოებლის მიხედვით. ექსპერტები წითელ სითხეს გვირჩევენ, თუმცა ყველა ავტომობილისთვის არ არის რეკომენდებული. ზამთარში „ანტიფრიზი“ 35-დან 50%-მდე უნდა მერყეობდეს. ყურადღება მიაქციეთ „ანტიფრიზის“ გრადუსს. თუ დაბალ გრადუსზეა, შესაძლოა წყლის ტუმბო დააზიანოს.

„ანტიფრიზის“ ჩამატებაა საჭირო საქარე მინის საწმენდ სითხეშიც. ამით თავიდან აიცილებთ მის გაყინვას.

ზამთარში, მგზავრთა უსაფრთხოებისთვის, აუცილებლად მწყობრში უნდა გქონდეთ ღუმელი. მისი გაუმართაობის შემთხვევაში მინები იორთქლება და ხილვადობას ამცირებს.





**OTHER** than the suggestions above, experts also advise to:

- Check the accumulator for proper functioning;
- Check the brakes for safety;
- Replace filters;
- Check the windshield washer fluid tank, it must be full;
- Fill the fuel tank up;
- Check lights, clean from dust.

Proper functioning of the automobile is important for your and your passenger's safety. We repeat - winter is here for your automobiles when the temperature drops down to +7° Celsius. Keep in mind the experts' suggestions and drive safely, even in bad weather conditions.

**გარდა** ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი და აუცილებლად გასათვალისწინებელი რჩევებისა, ექსპერტები გვირჩევენ:

- შევამოწმოთ ძრავა, დავრწმუნდეთ, რომ გამართულად მუშაობს;
- შევამოწმოთ მუხრუჭები, რათა თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ;
- გამოვცვალოთ ფილტრები;
- პერიოდულად შევამოწმოთ საქარე მინის საწმენდი ავზი, ის აუცილებლად სავსე უნდა იყოს;
- საწვავის ავზი ავავსოთ ბოლომდე;
- შევამოწმოთ მაშუქები, გავწმინდოთ მტვრისგან;

ზამთარში ავტომობილის გამართულად მუშაობა თქვენი და მგზავრების უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია. გავმეორდებით – ავტომობილისთვის ზამთარი მაშინ დგება, როცა ჰაერის ტემპერატურა +7° ცელსიუსამდე ეცემა. გაითვალისწინეთ ექსპერტების რჩევები და გახადეთ ავტომობილით მგზავრობა უსაფრთხო ცუდ ამინდშიც კი.




# On the road with full power:
# SACHS offers safety.



SACHS products are used in millions of vehicles all over the world. They stand for a maximum of safety, high driving comfort and outstanding reliability. SACHS is the first choice when it comes to clutches and shock absorbers. Because we combine the expertise of the OEM business with the innovative power of Formula One racing. Take advantage of our experience. We are happy to be of your assistance.

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS

It`s Time To Choose Quality...

SACHS

www.zf.com

# Dangerous car ACCESSO

Car enthusiasts often decorate their automobile interiors with different items. Appropriate markets and shops offer a practically unlimited choice of these items, but unfortunately, not many people think about the safety of certain automobile accessories. Here are results of research conducted by experts and specialists who tried to figure out which are the most dangerous automobile accessories

## MELODY SIGNALS

Nothing seems to be more harmless and pleasant than a melody signal. But statistics have shown that pedestrians have a hard time distinguishing a warning signal if it is melodic and get away from a dangerous situation. It is hard to predict what reactions automobile drivers and pedestrians might have to hearing a melody signal and it's understandable that results are not worth the risk...



# სახიფათო ავტო–

ავტომოყვარულები ხშირად რთავენ საკუთარი ავტომობილების სალონებს სხვადასხვა ნივთით. შესაბამისი მარკეტები და მაღაზიები მსურველს ფაქტობრივად, შეუზღუდავ არჩევანს სთავაზობენ, მაგრამ სამწუხაროდ, ცოტა ვინმე თუ უფიქრდება იმას, რამდენად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის ესა თუ ის სამანქანო აქსესუარი. გთავაზობთ ექსპერტებისა და სპეციალისტების ჯგუფის კვლევების შედეგებს. ისინი ერთად ცდილობდნენ გაერკვიათ – რომელია ავტომობილის სალონის ყველაზე სახიფათო აქსესუარები

## სიგნალი - მელოდია

ერთი შეხედვით, რა უნდა იყოს მელოდიურ სიგნალზე უწყინარი და სასიამოვნო. მაგრამ როგორც სტატისტიკამ აჩვენა, ფეხით მოსიარულეები, ხშირ შემთხვევაში, ვერ არჩევენ გამაფრთხილებელ სიგნალს, თუკი ის მელოდიურია და ვერ ახერხებენ სახიფათო სიტუაციისგან გარიდებას. რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა რეაქცია ექნება შემხვედრ ავტომობილს ან ფეხით მოსიარულეს მელოდიურ სიგნალზე. გასაგებია, რომ გარისკვა არ ღირს...

# RIES

## –აქსესუარები




### PET HAMMOCKS

Such a hammock/cover is no doubt very practical for transporting pets. Covers (different from special boxes for cats or dogs) are small and compact when folded, cover the entire back seat and keep it clean and safe from damages animals could cause with their teeth or claws. But there have been cases, when, upon small collisions or emergency brakes, the hammock functions as a certain catapult. The animal hits the windshield with great force and could receive serious damages or even die. Elementary safety precautions are to be taken once you decide to have your animals with you for long vehicle trips!

### ჰამაკი ოთხფეხა მეგობრისთვის

უდავოა, რომ ამგვარი ჰამაკი-გადასაფარებელი ძალიან მოსახერხებელი და პრაქტიკულია ოთხფეხა მეგობრების ტრანსპორტირებისას. გადასაფარებელი (ძაღლის ან კატისთვის განკუთვნილი სპეციალური ყუთისგან განსხვავებით) დაკეცილ მდგომარეობაში კომპაქტურია, მთელ უკანა სავარძელს ეფარება და იცავს მას დაბინძურებისა და დაზიანებებისგან, რაც ცხოველს შეუძლია მიაყენოს ბრჭყალებით ან კბილებით. მაგრამ დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც მცირე შეჯახებისას ან ექსტრემალური დამუხრუჭებისას ჰამაკი ერთგვარი კატაპულტის ფუნქციას ასრულებს. ცხოველი დიდი ძალით ეჯახება საქარე მინას და შესაძლოა, გვარიანად დაშავდეს ან დაიღუპოს კიდეც. ავტომობილით ხანგრძლივი მოგზაურობის შემთხვევაში, აუცილებელია ცხოველის ტრანსპორტირების ელემენტარული უსაფრთხოების წესების დაცვა!

## SCENTED POISON

Many drivers hang special scented toys to make sure their automobile interiors smell nice. What they must remember is that such cheap scented items with unknown compounds could contain ingredients that are harmful to health. Some have been discovered to have harmful substances such as phenol and xylene. Scented items are even more dangerous for drivers who smoke in their cars. Once smoke reacts with the scent, it causes headache, drowsiness and overall worsening of the state. Specialists suggest we let air the interior out as often as possible, clean the inner surface with wet cloth and refrain from using cheap chemical aromatic items and scented toys.




## სურნელოვანი შხამი

ავტომობილის სალონში სასიამოვნო არომატის შესაქმნელად ბევრი მძღოლი სარკეზე სპეციალურ არომატიზებულ სათამაშოს ჰკიდებს. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ იაფფასიანი და გაურკვეველი შემადგენლობის მქონდე ამგვარი არომატიზატორები ჯანმრთელობისთვის მავნე და სახიფათო შემცველობისაა. ზოგიერთ ასეთ სურნელოვან საკიდზე ისეთი მავნე ნივთიერებებია აღმოჩენილი, როგორიცაა ფენოლი და ქსილოლი. კიდევ უფრო საშიშია არომატიზატორები იმ მძღოლებისთვის, რომლებიც ავტომობილში ეწევიან. სიგარეტის გამონაბოლქვთან რეაქციაში შესული არომატი იწვევს თავის ტკივილს, ძილიანობას და საერთო მდგომარეობის გაუარესებას. სპეციალისტები გვირჩევენ, რაც შეიძლება ხშირად გავანიავოთ ავტომობილის სალონი, ვწმინდოთ სველი წესით შიდა ზედაპირი და არ გამოვიყენოთ იაფფასიანი ქიმიური არომატიზატორები და სურნელოვანი სათამაშოები.

## WOODEN MASSAGER

A net of wooden balls – a massager to cover the seats is one of most drivers' favorite accessories. This really is a comfortable and quite a useful item at first sight – protecting the body from sweating in the summer heat with a massage effect helping to relieve stress and exhaustion, but according to statistic data, upon small collisions or serious road accidents, there is danger that a driver, particularly if they are not wearing a seatbelt, can easily "slide out" of the seat and thus, receive serious body injuries. There have been cases where the seatbelt was fastened, but the driver still fell out of the seat "thanks" to such massagers!



## WHAT ATTRACTS ATTENTION?

Experts advise to remove all items that could attract the driver's attention and distort their concentration from the salon. These are portable televisions, soft toys or ones that make sounds that are usually attached to the windshield or a panel; any details that could attract the driver's attention even for a second – navigators, smartphones, headphones, wireless speakers... although there are no restrictions regarding the installation of portable televisions in automobile salons, it's still important to remember that statistically, televisions that are turned on while the automobile is on the road and moving attracts the driver's attention quite often. And even a millisecond could be fatal on the road! The same can be said about navigators – on the one hand, it's an irreplaceable gadget for selecting the right route, but on the other hand, just like television, it can also bring us to fatal results, so be extra careful when using it!



## რა იქცევს ყურადღებას?

ექსპერტები გვირჩევენ, რომ ისეთი საგნები, რომლებიც მძღოლის ყურადღებას იქცევს და მისი კონცენტრაციისთვისაა ხელისშემშლელი, სალონიდან მოვაშოროთ. ასეთია პორტატული ტელევიზორები, რბილი ან ხმოვანი სათამაშოები, რომლებიც საქარე მინაზე ან პანელზე მაგრდება, ნებისმიერი ისეთი დეტალი, რაც თუნდაც წამით გამოიწვევს ყურადღების გაფანტვას – ნავიგატორები, სმარტფონები, ყურსასმენები, ყურზე დასამაგრებელი ტელეფონის აქსესუარი... მართალია, არ არსებობს არანაირი აკრძალვა პორტატული ტელევიზორის სალონში დამაგრების შესახებ, მაგრამ, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ სტატისტიკის მიხედვით, მოძრაობისას ჩართული ტელევიზორი ხშირად იპყრობს მძღოლის ყურადღებას. გზაზე კი წამის მეასედიც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს! იგივე შეიძლება ითქვას ნავიგატორზეც – ერთი მხრივ, ეს შეუცვლელი რამაა სწორი მიმართულების შესარჩევად, მეორე მხრივ კი, ტელევიზორის მსგავსად, მასაც შეუძლია სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო მისი გამოყენებისას!



## ხის მასაჟორი

უამრავი მძღოლის ერთ-ერთ საყვარელი აქსესუარია ავტომობილის სავარძელზე გადაფარებული ხის ბურთულები – მასაჟორი წარმოადგენს. ეს მართლაც მოსახერხებელი და ერთი შეხედვით, სასარგებლო ნივთია – ზაფხულის სიცხეში გაოფლიანებისგან იცავს სხეულს, გადაღლილობის მოსახსნელად მასაჟის ეფექტიც აქვს, მაგრამ როგორც სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, მცირე შეჯახების ან სერიოზული საგზაო შემთხვევების დროს არის საფრთხე, რომ მძღოლი, მით უფრო, თუ მას არ აქვს შეკრული უსაფრთხოების ღვედი, ადვილად „ამოცურდება" სავარძლიდან და შესაბამისად, სხეულის სერიოზულ დაზიანებებსაც ადვილად მიიღებს. დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც უსაფრთხოების ღვედიც კი იყო შეკრული, მაგრამ ამგვარი მასაჟორის წყალობით მძღოლი მაინც ამოვარდნილა სავარძლიდან!



MERCEDES-BENZ
SL350



# CONVE
# a summer

## კაბრიოლეტი – ზაფხულის ავტომობილი

შეკითხვა, ვინ გამოიგონა პირველი ავტომობილი მოძრავი სახურავით ორაზროვნად ჟღერს... სინამდვილეში ხომ ყველაფერი პირიქით იყო და შეკითხვის დასმაც ასე სჯობს: რომელმა ბრენდმა გამოიგონა ავტომობილი სახურავით? ავტომობილების ისტორიაში პირველი მყარსახურავიანი ავტომობილი „კადილაკმა“ შესთავაზა მომხმარებელს. რაც შეეხება „კრაისლერს“, მან პირველმა გაყიდა ავტომობილი, მოძრავი სახურავით: კაბრიოლეტი, სწორედ იმ სახით, როგორსაც ვიცნობთ დღეს. კაბრიოლეტი ამინდის ავტომობილია, უფრო ზუსტად კი – კარგი ამინდის. კომფორტული, მოდური და სეზონური ავტომობილების სია წლიდან წლამდე იცვლება. იცვლება მომხმარებლის მოთხოვნაც. საუკეთესო კაბრიოლეტების ერთ-ერთი ათეული კი, ასე გამოიყურება.

The question who invented the first convertible is quite ambiguous... Because really it was the other way around and the question is much better asked this way: which brand invented the first automobile with a cover? The first hardcover automobile in the history of automobiles was offered to the customers by Cadillac. As of Chrysler, it was the first to sell an automobile with a convertible roof: a cabriolet in the form we know it today. A convertible is an automobile of weather, more precisely – of good weather. The list of comfortable, fashionable and seasonable automobiles changes annually. Customer demands change as well. One of the lists of top ten convertibles features the following automobiles.

# RTIBLE – automobile



10



## VOLKSWAGEN Golf 1.2 TSI S – £20.770

The automobile enduring time and, judging by the way it looks, time endures it as well – as if it was created for the latest century. It is priced at 20 770 Pounds.

ავტომობილი, რომელიც დროს უძლებს და დროც უძლებს ამ ავტომობილს, ისე გამოიყურება, თითქოს ბოლო საუკუნისთვისაა შექმნილი. მისი ღირებულება 20 770 ფუნტია.





## LOTUS Elise 1.6 CR – £27.975

When this model was released the manufacturers claimed that this would be the sports car of the best with the best results in the world. As of today, Lotus is one of the best automobiles in the convertible class; it is comfortable, light. and most importantly – cheap. It costs 27 975 Pounds.

9

როცა ავტომობილის ეს მოდელი გამოვიდა, მწარმოებლებმა დაიჩემეს, რომ ეს იქნებოდა ყველაზე კარგი შედეგის მაჩვენებელი სპორტული ავტომობილი მსოფლიოში. დღესდღეობით, „ლოტუსი" ერთ-ერთი საუკეთესო ავტომობილია კაბრიოლეტების კლასში, კომფორტული, მსუბუქი და რაც მთავარია – იაფი. მისი ღირებულება 27 975 ფუნტია.



8

## **AUDI** TT Roadster 1.8T FSI – £25.155

Audi is one of the most beautiful automobiles you could have ever seen. Perfectly built and with a remarkably good control mechanism. However, they still say it's uncomfortable. An automobile with two seats and not so much space is not worth spending 25 155 Pounds on. But different from critics, the buyers have been assured, that the automobile is safe and eally worth paying such a large sum.



ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ავტომობილი, რომელიც ოდესმე გინახავთ, „აუდია".,სრულყოფილად აგებული და საოცრად კარგი სამართავი. თუმცა, მაინც, ამბობენ, რომ მოუხერხებელია. ორადგილიანი და არცთუ ისე დიდსივრციანი ავტომობილისთვის 25 155 ფუნტის გადახდა არ ღირს. მაგრამ კრიტიკოსებისგან განსხვავებით, მყიდველები დარწმუნდნენ, რომ უსაფრთხოა და ამხელა თახნის მიცემა ნამდვილად ღირს.





## **BMW** 3 Series 320i SE – £33.535

7

Distinctive, comfortable, and most importantly – a BMW! The automobile the owners have a special approach towards. They say it's very nice to drive. It costs 33.535 Pounds.

გამორჩეული, კომფორტული და რაც მთავარია –„BMW"! ავტომობილი, რომლის მფლობელებსაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ. ამბობენ, რომ საოცრად კარგი სამართავია. მისი ღირებულებაა 33.535 ფუნტი.



## **FERRARI** CALIFORNIA – **£152.086**

6

Priced at 152 086 Pounds, this Ferrari is ideal for any season and reason. This is why it is one of the most expensive automobiles on the list.

152 086 ფუნტად ღირებული „ფერარი" ყველა სეზონისა და მიზეზისთვის იდეალურია. სწორედ ამიტომ, სიის ერთ-ერთი ძვირადღირებული ავტომობილია.





## **MAZDA** MX-5 1.8I SE – **£17.720**

This automobile does not belong to the seasonal convertible category. Its delicate and distinctive design, and a convenient roof enables one to drive it the year around, in any weather; besides, it is quite affordable – priced at only 17 720 Pounds.




ეს ავტომობილი არ განეკუთვნება სეზონური კაბრიოლეტების კატეგორიას. დახვეწილი, გამორჩეული დიზაინი და მოხერხებული სახურავი საშუალებას იძლევა, მართო მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ ამინდში, თანაც, საკმაოდ ხელსაყრელი ფასი აქვს: სულ რაღაც 17 720 ფუნტი ღირს.

5







## PORSCHE 911 – £75.013

4

At first sight, the Porsche 911 model is no different than the one with the roof. It costs 75 013 Pounds.

ერთი შეხედვით, „პორშეს" 911 მოდელი არაფრით განსხვავდება მისი სახურავიანი მოდელისგან. მისი ღირებულება 75 013 ფუნტია.



3

## JAGUAR XK 5.0 V8 – £70.400

The amazing synthesis of high performance, elegance and charm of a convertible makes one forget how expensive it is to enjoy driving this automobile. It costs 70 400 Pounds.

ამ ავტომობილის მაღალი გამავლობის, ელეგანტურობისა და კაბრიოლეტის მომხიბვლელობის საოცარი სინთეზი გავიწყებს იმას, რომ საოცრად ძვირია მისი მართვით ტკბობა. ღირებულება 70 400 ფუნტია.








## MERCEDES-BENZ SL350 – £72.170

2

Driving a Mercedes convertible definitely enhances the attitude towards the brand. Other than the style, automobile critics also speak of its low price. It costs only 72 170 Pounds.

მართავდე „მერსედესის" კაბრიოლეტს, ერთ-ორად ამაღლებს ბრენდისადმი დამოკიდებულებას. სტილთან შედარებით, ავტოკრიტიკოსები მის დაბალ ფასზეც საუბრობენ. ის მხოლოდ 72 170 ფუნტი ღირს.







## ASTON MARTIN Vantage 2DR 420 – £95.244

1

The incredibly delicate Aston Martin Vantage 2dr 420 sounds like a sports car, given all its characteristics. It costs 95 244 Pounds. A automobile enthusiasts say: if you don't like this automobile, we have no idea what you want at all.

საოცრად დახვეწილი Aston Martin Vantage 2dr 420 გამოსცემს სპორტული ავტომობილის ხმას, ყველა იმ ნიშან-თვისების გათვალისწინებით, რაც მას ახასიათებს. მისი ფასი 95 244 ფუნტია. ავტომოყვარულები ამბობენ: თუ ეს ავტომობილი არ მოგწონთ, მაშინ არც კი ვიცით, რა გინდათ, საერთოდ.






# For each type always the right solution

**Our solutions in the field of filtration and fluid management are convincing due to high functional reliability, accuracy of fit and durability as well as an excellent price-performance ratio.** Over the years our expertise in the original equipment sector as well as the range of replacement and service parts guarantees the highest quality. Our products always correspond to the latest technical standards and are custom made for the specific automobile. Filters we develop for the original equipment are inherited identically in construction and quality for the aftermarket program.

**www.hengst.com/iam**

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It's Time To Choose Quality...




# From ROME

## TO – ROME

We find the predecessor of the modern road signs in the history of Rome: text encrypted on a stone column informed the travelers about the road. The proverb – All roads lead to Rome – became known thanks to these stone columns. All road columns indicated the direction to Rome.

Road signs became a topical issue later, with the invention of a bicycle and absolutely necessary with the increasing number of automobiles.

Today it is hard to find a place where there are no modern road signs. These simple, necessary and easy-to-read signs are everywhere within the reach of automobiles and people.

Other than the necessary ones, there are some funny, unusual and sometimes completely senseless road signs in different parts of the word. Some of them are "works" of vandals, or enthusiasts, while others are accidental errors.

## რომიდან – რომამდე

თანამედროვე საგზაო ნიშნების წინაპარს რომის ისტორიაში ვიპოვით: ქვის სვეტზე დატანებული ტექსტი მგზავრებს გზის შესახებ აწვდიდა ინფორმაციას. გამოთქმაც, „ყველა გზა რომში მიდის", სწორედ ასეთი ქვის სვეტების წყალობით გახდა ცნობილი. ყველა საგზაო სვეტზე რომისკენ მიმართულება იყო აღნიშნული.

საგზაო ნიშნები აქტუალური მოგვიანებით, ველოსიპედის გამოგონების შემდეგ გახდა. აუცილებელი კი ავტომობილების მომრავლების შემდეგ.

დღეს ძნელად შევხდებით ადგილს, სადაც თანამედროვე საგზაო ნიშანი არაა. მარტივი, აუცილებელი და ადვილად წასაკითხი ტრაფარეტი ყველგან არის, სადაც ავტომობილი ან ადამიანია.

გარდა აუცილებელისა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ერთი შეხედვით სასაცილოს, გაურკვეველ ან სულაც არაფრის მთქმელ საგზაო ნიშნებს წააწყდებით. ზოგი მათგანი ჰაკერების ან მოხალისეების ნამოქმედარია, ზოგიც, უნებლიე შეცდომა.



Roman milestone XXIX on Via Romana XVIII – the road linking the Iberian cities of Bracara Augusta and Asturica Augusta


ჩვენ ვუზრუნველყოფთ თქვენს
უსაფრთხოებას გზებზე
TRUCK DIVISION
საჭის მექანიზმი
ძრავის ნაწილები
ელექტროობა
პნევმო სისტემები
სამუხრუჭე სისტემები
თვლები და ღერძები
დაკიდების სისტემები
კაბინის კომპონენტები
febiplus
www.trucks.febi-parts.com
www.tegetamotors.ge
febi is a bilstein group brand
www.febi.com
febi bilstein

# Winners of the joint competition organized by ZF and TEGETA MOTORS will be TRAVELING to GERMANY




As an encouragement to employees and partners, Tegeta Motors arranged a 3-month contest "Champion's League" in cooperation with ZF. Winners were announced among Tegeta Motors' employees as well as the company's trading partners. They will be traveling to Schweifurt, Germany to visit the SACHS research center and factory.

ShotaSubeliani, LashaDughashvili, Davit Mindiashvili and BidzinaTabatadze are the winners representing Tegeta Motors' staff. Employees of the Tegeta Motors' following trading partners also won the competition: "Avangardi XXI" Ltd., F123 Motors Ltd., and Physical Person Davit Merabishvili.

The company also awarded outstanding contestants with particularly distinguished performance in the fight for victory; these were: Davit Tchelidze, MikheilAbzianidze and NikolozBasiladze. Tegeta Motors and ZF awarded them with certificates and commemorative gifts.

Tegeta Motors is planning to organize such contests in the future as well to further encourage its employees.

## ZF-ისა და თეგეტა მოტორსის ერთობლივ კონკურსში გამარჯვებულები გერმანიაში გაემგზავრნენ

**თანამშრომელთა** და პარტნიორთა წახალისების მიზნით, კომპანია „თეგეტა მოტორსმა", კომპანია ZF-თან ერთად, 3-თვიანი კონკურსი„„ჩემპიონთა ლიგა" ჩაატარა. გამარჯვებულებს შორის გამოვლინდნენ როგორც „თეგეტა მოტორსის" თანამშრომლები, ისე კომპანიის სავაჭრო პარტნიორები. ისინი გერმანიაში, ქალაქ შვაინფურტში გაემგზავრნენ, სადაც SACHS-ის კვლევით ცენტრსა და ქარხანას ეწვივნენ.

„თეგეტა მოტორსის" თანამშრომლებიდან გამარჯვებულები გახდნენ: შოთა სუბელიანი, ლაშა დუღაშვილი, დავით მინდიაშვილი და ბიძინა ტაბატაძე. კონკურსში ასევე გაიმარჯვეს „თეგეტა მოტორსის" სავაჭრო პარტნიორებმა: შპს ავანგარდი XXI-მ, შპს F123 მოტორსმა და ი/მ დავით მერაბიშვილმა.

კომპანიამ დააჯილდოვა ჩემპიონთა ლიგის წარჩინებული კონკურსანტები, ვინც განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი და იბრძოდა გამარჯვების მოსაპოვებლად: დავით ჭელიძე, მიხეილ აბზიანიძე და ნიკოლოზ ბასილაძე. „თეგეტა მოტორსმა" და კომპანია ZF-მა, სერტიფიკატებთან ერთად, მათ სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცეს.

„თეგეტა მოტორსი" მომავალშიც გეგმავს მსგავსი კონკურსების ჩატარებას, თანამშრომელთა წახალისების მიზნით.




თეგეტა თრაქ & ბას
TEGETA TRUCK & BUS

"თეგეტა თრაქ ენდ ბას" საქართველო, ქ. თბილისი 0131,
აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5.
☎ 224 - 47 - 44
sales@hyundai-ce.ge
www.hyundai-ce.ge



# Step-by-Step to **UNIVERSAL SUCCESS...**

## ეტაპობრივად მოსული **ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ...**

“Work, studying, gathering practical knowledge and striving towards the chosen goal are all prerequisites for inevitable success” – Davit Tsakadze – TEGETA MOTORS – Head of Corporate Sales Department

„მუშაობა, სწავლა, პრაქტიკული ცოდნის მიღება და, ზოგადად, იმ მიზნისკენ სწრაფვა, რაც დაისახე, გარდაუვალი წარმატების წინაპირობაა“ – დავით წაქაძე – ᲗᲔᲒᲔᲢᲐ ᲛᲝᲢᲝᲠᲡᲘᲡ კორპორატიული გაყიდვების განყოფილების უფროსი



Tbilisi State University was where I created the basis of my theoretical knowledge, though Tegeta Motors supplied me with practical skills

### PRIVATE LIVE AND CAREER

I graduated from Ivane Javakhishvili Tbilisi State University, faculty of Management and Microeconomics. Several months after graduation I came to Tegeta Motors. Just like everyone else I took tests and had interviews, passing all stages any other employee has to go through. Starting September 2004 I have been Tegeta Motors staff member. First there was a three-month internship, after which I became a consultant in tires. In 2005 I moved to the new branch a Head of a team. Then I became a Brand Manager which implied working particularly on tire brands; a bit later, in 2007, I became the Head of the Tire Department – a Product Manager. I changed the position again this April and am currently the Head of Corporate Sales. I must say I met my wife here as well, back in 2006 and in 2009 we married; we have two kids, Nini and Nikoloz. The popular question about balancing time between work and private life, is not very topical in my case. Most of my time, my private life and my job are intersected, although career does require its sacrifice in terms of time management - we spend most of the day at work where there are many issues to be resolved and that's what takes up most of the mental resources.

### EXPECTATIONS IN THE BEGINNING AND THE REALITY TODAY

Just like all beginners, I too had grand plans, I envisioned the future in bright colors and had dreams of dancing among the stars. Luckily, some of my expectations have been met. From year to year I learned, gained experience and moved to new positions. Tegeta Motors is my first workplace and I received all of my practical knowledge here. The benefit of working at this company is that, in case we need someone, we first try to select them from our own, internal resources. I was such a case. I don't think I've reached the peak yet, but I'm sure I'll get there!

### THE EFFECT OF A SUCCESSFUL CAREER

The main change for me, personally, is that I have become significantly more goal-oriented; I do everything to get what I really want! Whenever you want something, the desire is not enough, one needs to take action to make their wishes come true. I appreciate hard work and have come to a conclusion that if you do something, it will pay off and you will go forth, which is as it should be.

### პირადი ცხოვრება და კარიერა

დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრებიდან რამდენიმე თვეში მოვედი „თეგეტა მოტორსში". ისევე, როგორც ყველამ, მეც ჩვეულებრივად გავიარე ტესტირებები და გასაუბრებები, ყველა ის ეტაპი, რასაც ნებისმიერი თანამშრომელი გადის. 2004 წლის სექტემბრიდან მეც „თეგეტა მოტორსის" თანამშრომელი ვარ. ჯერ იყო სამთვიანი სტაჟირება, რის შემდეგაც გავხდი კონსულტანტი საბურავების მიმართულებაში. 2005 წელს უკვე ახალ ფილიალში გადავედი, ჯგუფის უფროსად. შემდეგ გავხდი ბრენდ მენეჯერი, რაც, უშუალოდ ბრენდებთან მუშაობას გულისხმობს, საბურავების მიმართულებით. გარკვეული პერიოდის შემდეგ, უკვე 2007 წელს, გავხდი საბურავების მიმართულების ხელმძღვანელი - პროდუქტ მენეჯერი. ამ წლის აპრილში, ისევ შევიცვალე თანამდებობა და ამჯერად კორპორატიული გაყიდვების განყოფილების უფროსი ვარ. უნდა ვთქვა, რომ აქვე გავიცანი ჩემი მეუღლეც, 2006 წელს; 2009 წელს ჩვენ დავქორწინდით და გვყავს ორი შვილი, ნინი და ნიკოლოზი. ანუ, ჩემს შემთხვევაში, პოპულარული კითხვა სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის დროის გადანაწილებასთან დაკავშირებით, არც ისე აქტუალურია, დროის ძირითადი ნაწილი, პირადი ცხოვრებაც და სამსახურიც, ერთმანეთთან თანაკვეთაშია, თუმცა, დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით, კარიერა გარკვეულ მსხვერპლს მაინც მოითხოვს. დღის ძირითად ნაწილს სამსახურში ვატარებთ, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია გადასაწყვეტი, გონებრივი რესურსიც ძირითადად ამაზე მიდის.

### მოლოდინები დასაწყისში და რეალობა დღეს

როგორც ყველა დამწყებს, მეც დიდი მიზნები მქონდა, მომავალს ნათელ ფერებში ვხედავდი, ვარსკვლავებს ვეთამაშებოდი. საბედნიეროდ, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მოლოდინები, გარკვეულწილად, გამართლდა. წლიდან წლამდე ვსწავლობდი, ვიღებდი გამოცდილებას და გადავდიოდი ახალ თანამდებობაზე. „თეგეტა მოტორსი" ჩემი პირველი სამსახურია; პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება აქ მივიღე. ამ კომპანიაში მუშაობის უპირატესობა ის არის, რომ კადრების საჭიროების შემთხვევაში, მათ ჯერ შიდა რესურსებიდან ვარჩევთ. სწორედ ასეთია ჩემი შემთხვევაც. ჯერ-ჯერობით, არ მგონია, რომ მწვერვალამდე ვარ მისული, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მივალ!

### წარმატებული კარიერის გავლენა

ჩემთვის, პირადად, მთავარი ცვლილება ის არის, რომ მიზანსწრაფული გავხდი, ყველაფერს ვაკეთებ იმის მისაღწევად, რაც ნამდვილად მინდა! ზოგადად, როცა რაღაც გინდა, მხოლოდ სურვილით არ უნდა შემოიფარგლო, ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ სურვილი რეალობად იქცეს. მეტად ვაფასებ შრომას, მივედი იმ დასკვნამდე, რომ თუ რაიმეს აკეთებ, რა თქმა უნდა, ეს გიფასდება და მიდიხარ წინ, რაც, ბუნებრივია, ასეც უნდა იყოს.

## ON THEORETICAL KNOWLEDGE AND NOT ONLY...

Tbilisi State University was where I created the basis of my theoretical knowledge, though Tegeta Motors supplied me with practical skills. From that point of view, I think that it matters greatly how one manages to put theory to practice. It's mostly experience that brings success about.

## ATTITUDE TOWARDS EMPLOYEES

I think an employer must be demanding, of course, within reason. I suppose I'm like that, I could be a bit softer than my heads. I had never thought of them as scary people though, and I don't think I'm one either.

If you ask my employees they'll probably tell you we have a friendly relationship and that's what I think should be the case. There should be constant exchange of thoughts and even notices, if necessary, between employers and employees. The age difference between the staff members is not too big, most of them start off at ground zero and a friendly attitude is even more appropriate in those cases. Again, within reasonable limits, of course.

## THE MAIN ISSUE AT WORK

My position and the work of our department overall is directly linked to customer satisfaction and the main goal of our department is to ensure that. Sometimes customers might be giving us the wrong notice, but our motto is that they're always right. The main goal is to have them leave with such a sense of satisfaction that they would want to come back to us if anything came up again.

## AS A PIECE OF ADVICE...

I would advise everyone who is starting out to work hard, be diligent and take as much as they can from their work. There is no job that would not provide with some kind of experience, be it practical or theoretical! The knowledge you may receive from your colleagues is bound to come in handy in the future.

In short, what matters is to have a goal and strive towards it step-by-step.

## თეორიულ ცოდნაზე და არა მარტო ...

თეორიული ცოდნის მხრივ, ჩემი ბაზისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო, თუმცა მთელი პრაქტიკული გამოცდილება „თეგეტა მოტორსმა“ მომცა. ამ გადმოსახედიდან, ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ განახორციელებ თეორიას პრაქტიკაში. წარმატება, ძირითადად, გამოცდილებას მოაქვს.

## დამოკიდებულება თანამშრომლებთან

ვფიქრობ, რომ ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს მომთხოვნი, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში. სავარაუდოდ, მეც ასეთი ვარ, შესაძლოა, ცოტა ლმობიერიც, ჩემს ხელმძღვანელებთან შედარებით. საშიშ ადამიანებად არც ჩემი უფროსები წარმომედგინა და მგონი, არც მე ვარ ასეთი.

ალბათ, ჩემს თანამშრომლებს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებენ, რომ მეგობრული დამოკიდებულება მაქვს მათთან და მეც ასე

> ვფიქრობ, რომ ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს მომთხოვნი, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში

მგონია, უფროსსა და მის დაქვემდებარებაში მყოფს შორის აზრების ურთიერთგაცვლა უნდა ხდებოდეს, თუ საჭიროა, შენიშვნებისაც. ჩვენთან თანამშრომლებს შორის ასაკობრივი სხვაობა არც ისე დიდია, უმეტესობა ნულიდან იწყებს მიზნების მიღწევას, ამ შემთხვევაში, მით უმეტეს გამართლებულია მეგობრული დამოკიდებულება, აქაც, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ზომიერების ფარგლები.

## მთავარი ამოსავალი წერტილი სამსახურში

ჩემი თანამდებობა და ზოგადად ჩვენი განყოფილების საქმიანობა პირდაპირ კავშირშია მომხმარებლების კმაყოფილებასთან და ჩვენი განყოფილების პირველი ამოცანა და მიზანი სწორედ ეს არის. შესაძლოა, მომხმარებელი არასწორ შენიშვნას გვაძლევდეს, მაგრამ ჩვენი დევიზია, რომ ის ყოველთვის მართალია. მთავარი მიზანი ის არის, ისინი იმდენად კმაყოფილები წავიდნენ აქედან, რომ მეორადი საჭიროების შემთხვევაში, ისევ ჩვენ მოგვანიჭონ უპირატესობა.

## რჩევის სახით ...

ყველა დამწყებს ვურჩევდი, ბევრი იშრომონ, იმუშაონ, მიიღონ რაც შეიძლება მეტი საკუთარი სამსახურიდან. არ არსებობს სამსახური, რომელიც რაიმე სახის გამოცდილებას არ გაძლევს, იქნება ეს პრაქტიკული, თუ თეორიული! სამომავლოდ, აუცილებლად გამოსადეგია კოლეგებისგან მიღებული ცოდნა.

მოკლედ რომ ვთქვა, მთავარია, გქონდეს მიზანი და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდე მისკენ!


JCB
ინოვაციის 60 წელი!
JCB-ს ოფიციალური იმპორტიორი
საქართველოში შპს "თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენტ"
საქართველო, ქ. თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5.
☎ 224-47-44
info@jcb.ge
www.jcb.ge
TCE
თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენტ

# The Best TEGETA MOTORS EMPLOYEES



On September 13 Tegeta Motors selected and awarded the best branches, directions and employees according to the results of the second quarter of 2014. The company management awarded the winners with certificates and gifts of appreciation.

### THE FOLLOWING WINNERS WERE ANNOUNCED

**Best Branches**: The Head Office – Director Giga Barbakadze; Kutaisi Branch – Branch Director Sandro Nergadze; Batumi Branch – Director Tornike Tutarashvili.

**Best Channel**: Wholesale Channel – Head Beka Metepshishvili;

**Best Directions**: Truck Parts Direction – Head Giorgi Lagazashvili; Tires Direction – Head Vakhtang Ghuladze.

# თეგეტა მოტორსის საუკეთესო თანამშრომლები

**13 სექტემბერს** „თეგეტა მოტორსმა" 2014 წლის მეორე კვარტლის შედეგების მიხედვით გამოავლინა და დააჯილდოვა საუკეთესო ფილიალები, მიმართულებები და თანამშრომლები. გამარჯვებულებს კომპანიის მენეჯმენტმა, მადლობის ნიშნად, სიგელები და საჩუქრები გადასცა.

### შედეგების მიხედვით გამოვლინდნენ

**საუკეთესო ფილიალები**: ცენტრალური ფილიალი – დირექტორი გიგა ბარბაქაძე; ქუთაისის ფილიალი – დირექტორი სანდრო ნერგაძე; ბათუმის ფილიალი – დირექტორი თორნიკე თუთარაშვილი.

**საუკეთესო არხი:** საბითუმო არხი – ხელმძღვანელი ბექა მეთეფშიშვილი.

**საუკეთესო მიმართულებები**: სატვირთო ნაწილების მიმართულება – ხელმძღვანელი გიორგი ლაგაზაშვილი; საბურავების მიმართულება – ხელმძღვანელი ვახტანგ ღულაძე.




FERODO®

YOU'RE IN CONTROL

# 8 OUT OF 10!




Being the original packager, 8 out of 10 more or less popular car models in Europe are equipped by Ferodo brake pads.

This is the result of companys broad experience and our products leading possitions on conveyor packaging.

www.ferodo.com

Trading mark Ferodo belongs to corporation FEDERAL-MOGUL MOTORPARTS

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It's Time To Choose Quality...

# FLYING CARS –
## a myth or failed reality?

In the history of flying automobiles, you will come across real aero-mobiles. Yet the prediction of them being extremely popular never came true.

# მფრინავი ავტომობილები –
## მითი თუ წარუმატებელი რეალობა?

მფრინავი ავტომობილების ისტორიაში შეხვდებით ნამდვილ აეროავტომობილებს, თუმცა წინასწარმეტყველება მათი პოპულარობის შესახებ არ ახდა.

### MOLLER M400 Skycar

Moller M400 Skycar was created by Paul Moller. It took him 50 years to create this model. This aircraft can transport 4 people and works are being carried out to create 2 and 6-seat versions as well. Moller M400 Skycar is built in a way that anyone who knows how to drive an automobile will be able to drive it.






## AEROCAR 2000

Aerocar 2000 was created in the beginning of the 2000's in the US. Ed Sweeney designed it inspired by the aircraft of the 1950's the Moulton Taylor's Aerocar. The aerocar was constructed in a way that it's "tail", wings and other flying devices can be removed and once that's done you're left with a modified version of a Lotus Elise car.



Taylor Aerocar
Model III, 1968

Aerocar 2000 – მფრინავი ავტომობილი 2000-იანი წლების დასაწყისში, შეერთებულ შტატებში შეიქმნა. მისი დიზაინერი ედ სვინეია; ის 1950-იანი წლების აერო ავტომობილებმა,



A short-lived revival of the Aerocar name in 2000 used a Lotus Elise as the road-going component



Lotus
Elise SC

Moulton Taylor's Aerocar-მა შთააგონა. აეროავტომობილი ისეა კონსტრუირებული, რომ მას ეხსნება „კუდი", ფრთები და სხვა საფრენი მოწყობილობები. საფრენი ნაწილების გარეშე რჩება Lotus Elise-ის ერთი-ერთი მოდელის მოდიფიცირებული ვერსია.




Moller M400 Skycar პოლ მოლერის მიერ არის შექმნილი. ამ მოდელის შექმნას მან 50 წელი მოანდომა. აეროავტომობილს ოთხ ადამიანს იტევს, ასევე, მიდის მუშაობა ორ და ექვსადგილიანი ვერსიების შექმნაზე. Moller M400 Skycar ისეა აგებული, რომ მისი მართვა შეუძლია ყველას, ვინც ავტომობილის მართვა იცის.



Taylor's Aerocar I flew in 1949 but was not certified until 1956





The Urban Aeronautics X-Hawk is a design for a flying car which is being developed by Rafi Yoeli in Tel Aviv, Israel

ურბანული აერონაუტიკური X-Hawk თელავივის აეროპორტში, რაფი იოელის მიერ არის შექმნილი. ვარაუდობენ, რომ X-Hawk და მისი შემცირებული ვერსია Mule უნდა გამოიყენებოდეს იქ, სადაც ვერტმფრენის გამოყენება შეუძლებელია. ორივე აეროავტომობილი გამოსადეგი იქნება როგორც პოლიციისთვის, ისე სამხედროებისთვის. აეროავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 248 კმ/სთ-ია, ზღვის დონიდან 3,700 მეტრზე შეუძლია აფრინდეს და ჰაერში მხოლოდ 2 საათი დაჰყოს.

## X-HAWK

The urban aeronautics X-Hawk was created at the Tel-Aviv airport by Rafi Yoeli. There is an assumption that The X-Hawk and its smaller version Mule should be used where helicopters cannot be applied. Both aerocars will be useful for the police as well as the military. The maximum speed for aerocars is 248 km/h, they can reach up to 3,700 meters above the sea level and remain in air for 2 hours.



The X-Hawk is a VTOL (Vertical Take-Off and Landing) aircraft that does not have any exposed rotors, configured as a tandem-fan, turbine-powered vehicle



## I-TEC Maverick

The most unimaginable aero automobile is the I-TEC Maverick. It flies using a parachute. However you cannot really do the same, because it's not just a random parachute; the I-TEC Maverick is equipped with the most powerful flying parachute and it received a license to fly in 2008. Despite the fact that it looks like the parachute is attached to the automobile, the aerocar has no trouble flying in bad weather conditions. They say such aerocars would really benefit Indian farmers and travelers, those who have to or just enjoy going around in off-road conditions.

ყველაზე დაუჯერებელი აეროავტომობილი I-TEC Maverick-ია. ის პარაშუტის მეშვეობით დაფრინავს. თუმცა, იმავეს თქვენ ვერ გაიმეორებთ. I-TEC Maverick-ი აღჭურვილია უძლიერესი საფრენი პარაშუტით, ფრენის ლიცენზია 2008 წელს მოიპოვა. მიუხედავად იმისა, ერთი შეხედვით, პარაშუტი ავტომობილზეა დამონტაჟებული, აეროავტომობილს ფრენა ცუდ ამინდშიც არ უჭირს.  ამბობენ, რომ მსგავსი აეროავტომობილი ძალიან წაადგებათ ინდოელ ფერმერებს და მოგზაურებს, მათ, ვისაც უგზოობაში სიარული უწევს ან ხიბლავს.

telwin.com

TELWIN




LOTS MORE THAN JUST BATTERY CHARGERS
Intelligent charge, maintenance, recovery of sulphated batteries, support for testing and diagnostics activities: multiple functions for a complete battery maintenance and valuable assistance in interventions on vehicles. The innovative Power Stream inverter technology guarantees better performance, up to 50% more than traditional battery chargers.

TELWIN S.p.A.
Via della Tecnica, 3, 36030 VILLAVERLA (Vicenza) Italy
Tel: +39 0445/858811 Fax 0445 858800/801
Info:telwin@telwin.com

# Doctor Charge & Pulse

## For complete battery mainteinance.

6-12-24V GEL WET AGM PbCa SPIRAL MF

PowerStream TECHNOLOGY +50% PERFORMANCE

Pulse Tronic

TELWIN is a company of Valenia Group.

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It's Time To Choose Quality...

# HOUSE

## on wheels

Airstream travel trailers were the creation of the late founder Wally Byam, who started building the trailers in his Los Angeles backyard




Gypsies used to travel from city to city and country to country with their homes. They lived in carts full of household appliances; they were carried around by horses and could sleep, travel and live in the same piece of space. That was probably what inspired the mankind to create an automobile where one can live.

A travel bus, or a Caravan is the means of transport where it's equally comfortable to sleep and travel.

Many people dream of being able to travel in their homes.

Had it not been the gypsies and their wandering lifestyle, travel buses would not have been invented. Or, they'd be on the list of top ten unsuccessful inventions.

The first person to share the gypsies' fate and travel with a Caravan was

## სახლი ბორბლებზე

**ძველად** ბოშები ქალაქიდან ქალაქში და ქვეყნიდან ქვეყანაში საკუთარი სახლებით გადაადგილდებოდნენ. სახლები, არც მეტი, არც ნაკლები, ცხენებშებმული ფორნები იყო, საყოფაცხოვრებო ნივთებით დატვირთული, სადაც ძილი, მგზავრობა და ცხოვრება ერთნაირად შეიძლებოდა. ალბათ, სწორედ ეს იყო ინსპირაცია კაცობრიობისთვის, შეექმნათ ავტომობილი, რომელშიც ცხოვრება შეიძლებოდა.

სამგზავრო ავტობუსი ან ქარავანი სწორედ ის სატრანსპორტო საშუალებაა, რომელშიც ძილი და მგზავრობა ერთნაირად კომფორტულია.









მგზავრობდე საკუთარ სახლთან ერთად, ბევრი ადამიანის ოცნებაა.

რომ არა ბოშები და მათი მოხეტიალე ცხოვრების სტილი, სამგზავრო ავტობუსი გამოგონილი არ იქნებოდა. ან, წარუმატებელ გამოგონებების ათეულს დაამშვენებდა.

პირველი ადამიანი, ვინც ბოშების ბედი გაიზიარა და ქარავნით იმოგზაურა, სამუელ უაით ბეიკერი იყო. მან ის ინგლისიდან საბერძნეთში გემით წაიღო. პირველი ქარავანი–ავტომობილი 1880 წელს აიგო ექიმი უილიამ გორდონ სტეიბლისთვის. ის პოპულარული ავტორი იყო, რომელიც სათავგადასავლო რომანებს წერდა. მისი შეკვეთა ასე ჟღერდა: „ქარავანი ჯენტლმენისთვის“. მისი ქარავანი 18 ფუტის სიმაღლის იყო და ძალიან გავდა ფორანს, გორდონ სტეიბლიმ ამ ავტომობილით მოგზაურობის შესახებ წიგნიც დაწერა, სათაურით: „ჯენტლმენი ბოშა“.





Airstream Avenue 20'4" – Chevrolet B-Van Motor Home RV Touring Coaches



ქარავნის ტიპის ავტომობილებმა პოპულარულობა ამერიკაში, 1920–იან წლებში, მოიპოვა. ასეთი ტიპის ავტომობილის ერთ–ერთი პირველი

Samuel White Baker. He took it on a boat from England to Greece. The first Caravan – automobile was built in 1880 for Dr. William Gordon Stables. He was a popular author of adventure novels. He wanted to have what he would refer to as a "Gentleman's Caravan". His Caravan was 18 feet tall and looked a lot like a cart. Gordon Stables wrote a book about traveling in this car with a title: "The Gentleman Gypsy".

Caravan-type automobiles became popular in America in the 1920's. One of the first people to have such an automobile was a baker and an owner of restaurants. He used this automobile purposefully, to travel.

A wheelhouse is comfortable and well-equipped. A bedroom, kitchen and bathroom are must-have "rooms" for such automobiles. Of course one can always prepare dinner in the well-equipped kitchen and there's nothing more pleasant than stopping the "house" in front of the ocean. Countries of North America use Caravans larger than the standard, practically the same size as travel buses. Such automobiles are equipped with air conditioning systems, a dryer, a TV room and other means of entertainment.

Demand differs by the continent and thus, travel buses look more like homes, or more like travel buses.

Caravans are called Mobile Homes in the UK. In Germany, they are referred to as residential automobiles. In France, they call them picnic automobiles. In Australia and New Zealand, where there are more automobiles of this type, they are called residential buses.

Regardless of what it's called, its essence is what matters: to be at home wherever the road may take you.

მფლობელი მცხობელი და რესტორნების მეპატრონე იყო. მან ავტომობილი მიზანმიმართულად, სამოგზაუროდ გამოიყენა.

ავტომობილი სახლი კომფორტული და კეთილმოწყობილია. ასეთი ტიპის ავტომობილში საძინებელი, სამზარეულო და სველი წერტილები აუცილებელი „ოთახებია". რა თქმა უნდა, კეთილმოწყობილ სამზარეულოში სადილის მომზადება შეიძლება და დამღლელი მოგზაურობის შემდეგ, „სახლის" ოკეანის პირას გაჩერებას არაფერი სჯობს. ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები სტანდარტულზე დიდ ქარავნებს იყენებენ, ფაქტობრივად, სამოგზაურო ავტობუსებს. ასეთი ავტომობილები აღჭურვილია კონდიცირების სისტემით, საშრობით, ტელევიზორის ოთახით და სხვა გასართობი მოწყობილობებით.

კონტინენტების მიხედვით განსხვავებულია მოთხოვნა და შესაბამისად, საცხოვრებელი ავტობუსი უფრო მეტად გავს სახლს, ან მხოლოდ სამგზავრო ავტომობილს.

„ავტომობილი სახლი"– ასე ეძახიან ქარავანს დიდ ბრიტანეთში. გერმანიაში, საცხოვრებელი ავტომობილი ქვია. საფრანგეთში კი საპიკნიკე ავტომობილი ეწოდება. ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, სადაც უფრო მეტ ამ ტიპის ავტომობილს







Caravisio Concept Caravan
by Knaus Tabbert



შეხვდებით, მოიხსენიებენ როგორც საცხოვრებელ ავტობუსს.

როგორც არ უნდა ეძახდნენ მას, მთავარი მისი არსია: იყო სახლში ყველგან, სადაც გზა მიგიყვანს.

LEMFÖRDER



## Replacement Parts in Original Equipment Quality

LEMFÖRDER sets standards in safety and quality. The automotive industry has confidence in this and shows its appreciation to the brand by way of a partnership in original equipment which has already lasted for decades.
You too can put trust in LEMFÖRDER.

LEMFÖRDER – Safety in Steering and Suspension

ZF

LEMFÖRDER is a brand of ZF

www.zf.com



☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...


TBI
NE
DU



BY ANUKI NATSVLISHVILI

The title was probably a hint enough to guess that I want to tell you about travel. About two weeks full of interesting and unusual events and contrasts.

# LISI-DUBAI PAL BAI-TBILISI

To whoever Dubai and Nepal are dream countries – you have not been wrong, these two countries are radically different from one another, yet both have many things to surprise guests with. Journeys always start with travel, I traveled by plain. If the flight is to last more than 2 hours, I suggest you choose Business Class.

I didn't think much, to be honest and chose flydubai right away. My friends had suggested it and I decided to try it out myself. I want to tell you everything in detail, because I had to use this service four times throughout the trip and I think, whoever decides to experience the same, will find this to be one of the most important parts.

> If the flight is to last more than 2 hours, I suggest you choose Business Class

The Business Class salon offers maximum space for comfortable travel. There are a total of 12 seats, each made of Italian leather, with adjustable handles, head rests and extendable foot rests. The seating space is wider than 53 centimeters, and the space between seats is over a meter. The salon is equipped with universal outlets for different electronic devices and HD sensor screens. There is a wide variety of choice – over 200 films and documentaries (on several languages), TV shows, music and games... so you won't be bored. Travelers are given special headphones with sound isolation. If the flight is over 1.5 hours, you can enjoy tasty appetizers and national cuisine of different countries; on shorter flights – appetizers and desserts. You can ask for drinks whenever you like, enjoy!








flydubai



Although, you will agree that comfort is nothing if there are no emotions to go with it; emotions are created by people's interactions. Personnel's attention, smile and professionalism, is what makes the services perfect.

After such comfort, you can't even feel how the time flies. Don't forget that the Business Class is not just the time spent on the plane it also covers a pleasant time before departure at lounge halls, with smiling personnel and tasty food. So, I would advise you to not even think about economy class, only flydubai and only Business Class!



# თბილისი-დუბაი-ნეპალი-დუბაი-თბილისი

**სათაურიდან ალბათ უკვე მიხვდით**, რომ მოგზაურობაზე მინდა მოგითხროთ; საინტერესო, უჩვეულო და კონტრასტებით სავსე ორ კვირაზე. ვისთვისაც დუბაი და ნეპალი საოცნებო ქვეყნებია, ნამდვილად არ შემცდარხართ, ისინი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ ორივეს უამრავი რამ აქვს სტუმრების გასაოცებლად. მოგზაურობა ყოველთვის მგზავრობით იწყება, მე თვითმფრინავით ვიმგზავრე. თუ ფრენა 2 საათზე მეტხანს გრძელდება, გირჩევთ, ბიზნესკლასით იმგზავროთ.

სიმართლე გითხრათ, ბევრი არ მიფიქრია, flydubai შევარჩიე. მეგობრებმა მირჩიეს და გადავწყვიტე, თავად გამომეცადა. დაწვრილებით მინდა მოგიყვეთ, რადგან მთელი მოგზაურობის განმავლობაში ოთხჯერ მომიწია ამ სერვისით სარგებლობა და ვფიქრობ, მათთვის, ვინც გადაწყვეტს, იგივე გამოსცადოს, ეს მონათხრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება.

ბიზნესკლასის სალონში მაქსიმალური სივრცეა კომფორტული მგზავრობისათვის. სულ 12 სავარძელია. ყოველი მათგანი დამზადებულია იტალიური ტყავისგან და აქვს რეგულირებადი ხელის დასაყრდნობი, თავის დასადები

The Business Class is not just the time spent on the plane it also covers a pleasant time before departure at lounge halls, with smiling personnel and tasty food





და გასაშლელი ფეხის ჩამოსადები თარო. დასაჯდომი სივრცის სიგანე 53 სანტიმეტრზე მეტია, წინა სავარძელთან დაშორება კი ერთ მეტრზე მეტი. სალონი აღჭურვილია უნივერსალური სტანდარტის შესაერთებლებით სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობებისათვის. აქვე ჩამონტაჟებულია HD ხასიხხის სენსორული ეკრანები. არჩევანი მრავალფეროვანია – 200-ზე მეტი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი (რამდენიმე ენაზე), ტელეპროგრამა, მუსიკა და თამაშები... ასე რომ, არ მოიწყენთ. მგზავრებს ურიგდებათ სპეციალური ყურსასმენები, ხმაურის დახშობის ფუნქციით. საათნახევარზე მეტი ხანგრძლივობის ფრენისას შეგიძლიათ მიირთვათ გემრიელი აპეტაიზერები და სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალური ცხელი კერძები, უფრო მოკლე დისტანციებზე კი აპეტაიზერები და დესერტები. სასმელი შეგიძლიათ მოითხოვოთ, როცა მოგესურვებათ, ისიამოვნეთ!

თუმცა დამეთანხმებით, მხოლოდ კომფორტი არაფერია, თუ მას ემოციები არ ახლავს, ემოციებს კი ადამიანები ქმნიან ერთმანეთთან ურთიერთობით. პერსონალის ყურადღება, ღიმილი და პროფესიონალიზმი ხდის სერვისს სრულყოფილს.

ასეთი კომფორტის შემდეგ ვერც კი გრძნობ, როგორ ჩაიარა ღრუბლებში გატარებულმა დრომ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბიზნესკლასი მხოლოდ თვითმფრინავში მომსახურებით არ შემოიფარგლება; ეს არის, აფრენამდე, ლაუნჯ დარბაზებში სასიამოვნოდ გატარებული დრო, მომღიმარი პერსონალი და გემრიელი საკვები. ასე რომ, ჩემი რჩევა იქნება, არც იფიქროთ ეკონომკლასზე, მხოლოდ flydubai და მხოლოდ ბიზნესკლასი!

ბიზნესკლასი მხოლოდ მომსახურებით არ შემოიფარგლება, ეს არის, აფრენამდე, სასიამოვნოდ გატარებული დრო ლაუნჯ დარბაზებში, მომღიმარი პერსონალი და გემრიელი საკვები







# JUMEIRAH BEACH HOTEL

Mornings at Jumeirah Beach Hotel begin with a tasty breakfast. It's an interesting fact that dishes for you are prepared by top chefs from different countries





## DUBAI

Dubai expects you after this pleasant flight. Advice number one: do not stay at the airport and use the Stop over, because that's where you can have a great time before your flight towards Katmandu. The hotel I am about to suggest belongs to one of the largest Arabian companies - Jumeirah Group – and is a Premium Class place. Here you can enjoy a romantic stay with your beloved, as well as spend a wonderful family holiday. The hotel is called Jumeirah Beach Hotel and is Wave-shaped, which is why it is often referred to as the Wave. Jumeirah Beach Hotel is quite close to the airport so you won't spend much time on the road, which is another advantage for the Stop over. The hotel and its infrastructure are located on the coast. There is a wonderful view from the windows - you will be overlooking the Persian Gulf.

Imagine a wonderfully comfortable hotel room, top notch service and such a view from the room. Such a chance is a chance you should not miss. The hotel offers different means of entertainment. If you prefer active leisure, you can visit the night club after dinner, if you prefer peace - there is nothing better than a walk in such an environment.

Mornings at Jumeirah Beach Hotel begin with a tasty breakfast. It's an interesting fact that dishes for you are prepared by top chefs from different

## დუბაი

სასიამოვნო ფრენის შემდეგ დუბაი გელით. პირველი რჩევა: ნუ დარჩებით აეროპორტში და Stop over-ით ისარგებლეთ, რადგან კატმანდუში გაფრენამდე დრო სასიამოვნოდ შეგიძლიათ გაატაროთ. სასტუმრო, რომელსაც ახლა გირჩევთ ეკუთვნის უმსხვილეს არაბულ კომპანიას – Jumeirah Group – და ის პრემიუმ კლასისაა. აქ შეგიძლიათ, როგორც საყვარელ ადამიანთან ერთად დროის რომანტიკულად გატარება, ისე ოჯახთან და ბავშვებთან ერთად არაჩვეულებრივი არდადეგების მოწყობა. სასტუმროს Jumeirah Beach Hotel ჰქვია, მას ტალღის ფორმა აქვს და ამიტომ ხშირად ასეც მოიხსენიებენ. Jumeirah Beach Hotel-ი აეროპორტთან საკმაოდ ახლოს არის. გზაშუ ბევრ დროს არ დაკარგავთ, რაც კიდევ ერთი პლუსია Stop over-ისათვის. სასტუმრო და მისი ინფრასტუქტურა ზღვის ნაპირზეა განლაგებული. მისი ნომრებიდან ულამაზესი ხედი იშლება, თქვენ სპარსეთის ყურეს გაჰყურებთ. წარმოიდგინეთ მაქსიმალურად კომფორტული სასტუმროს ოთახი, უმაღლესი დონის მომსახურება და მშვენიერი ხედი ნომრიდან. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. სასტუმრო გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის გასართობი საშუალებებს. თუ აქტიურ გართობას ანიჭებთ უპირატესობას, გვიანი ვახშმის შემდეგ კლუბს შეგიძლიათ ეწვიოთ, თუ სიმშვიდე გიყვართ, ასეთ გარემოში ფეხით გასეირნებას არაფერი ჯობს.

დილა Jumeirah Beach Hotel-ში უგემრიელესი საუზმით იწყება. საინტერესო ისაა, რომ თქვენთვის კერძებს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მზარეულები ამზადებენ. საუზმეზე ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის ტრადიციული კერძი შეგიძლიათ დააგემოვნოთ. გურმანებისთვის ეს ნამდვილი ზეიმია.

აეროპორტში გამგზავრებამდე იმის დროც გრჩებათ, რომ სანაპიროზე გაისეირნოთ და ზღვაში ან აუზში იცურაოთ.

















countries. You can have a bite of national dishes from several different national dishes for breakfast, which is a true celebration for gourmets. Before departing to the airport, you will have time to walk on the beach and have a swim in the sea or the pool.

That's how you can enjoy the time you would otherwise have to spend at the airport.

Farewell to the Jumeirah Beach Hotel and off to the airport. Time goes by unnoticed at the Business Lounge. We're headed towards Katmandu.

Jumeirah Beach Hotel is quite close to the airport









დილა Jumeirah Beach Hotel-ში უგემრიელესი საუზმით იწყება

აი, ასე შეგიძლიათ გამოიყენოთ დრო, რომელიც აეროპორტში უნდა გაგეტარებინათ.

ვემშვიდობებით სასტუმრო Jumeirah Beach Hotel-ს და ტრანსფერით მივემგზავრებით აეროპორტისაკენ. Business Lounge-ში დრო ისე გადის, რომ საერთოდ ვერ გრძნობ. მივფრინავთ კატმანდუში.
















## NEPAL

The first emotions experienced at the Katmandu airport is surprise. It's hard to associate this place with civilization, but whatever is ahead will even out this emotion and I can barely wait for the dawn. One can speak endlessly about Nepal, but a single magazine would not be enough for that, so I will divide whatever I have to say into stories about sights and my impressions of them.10 days are not enough to see all of Nepal, but there are must-see places: Katmandu, Pokhara and Chitwan.

## KATMANDU

Thamel, Swayambhunath (Monkey Temple), Pashupatinath (Temple for





## ნეპალი

კატმანდუს აეროპორტით გამოწვეული პირველი რეაქცია გაოცებაა. რთულია, რამენაირად დააკავშირო აქაურობა ცივილიზაციასთან, თუმცა ის, რაც წინ გველოდება ამ ემოციას. გათენებას მოუთმენლად ველი.

ნეპალზე საუბარი გაუთავებლად შეიძლება, მაგრამ ამას ერთი სრული ჟურნალიც არ ეყოფა, ამიტომ ჩემს მონაყოლს სანახაობებად და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებად დავყოფ. 10 დღე არ არის საკმარისი ნეპალის მოსანახულებლად, თუმცა აუცილებლად უნდა ნახოთ: კატმანდუ, პოხარა და ჩითვანი.

## კატმანდუ

ტამელით, სვაიამბუნატხი (მაიმუნების ტაძარი), პაშუპატინატხი (კრემაციის ადგილი) და ბაქტაპური ძველი ქალაქი – 4 ადგილი, რომელის ნახვასაც გირჩევთ კატმანდუში.

ტამელი – ტურისტული უბანი, შოკისმომგვრელი ადგილი, გამაოგნებლად ხმაურიანი და ქაოტური, საოცარი შერეული არქიტექტურული სტილი, ვიწრო ქუჩებით. აქ შეხვდებით: ტურისტებს, ადგილობრივ მაცხოვრებლებს, პატარა ზომის მანქანებს, მოტოციკლებსა და მინიმოპედებს, რიქშებს, ძაღლებს და კატებს, მტრედებს და ყვავებს და ამ ყველაფერთან ერთად, ამავე ქუჩაზე ყოველ ნაბიჯზე ნახავთ სუვენირებით, სამოსით, ხილით და ბოსტნეულით მოვაჭრეებს, იაფფასიან სასადილოებსა და კაფეებს. შეძლებთ ამ ყველაფრის წარმოდგენას? აუცილებლად უნდა ნახოთ, რადგან ამას ვერანაირი სიტყვა, ემოცია და ფოტომასალა ვერ გადმოსცემს.



cremation) and Bhaktapur (the ancient city) – are the 4 places I recommend visiting in Katmandu.

Thamel – a tourist district, a shocking place, astonishingly noisy and chaotic, amazingly diverse in architectural style, with narrow streets. Here you will see: tourists, locals, tiny cars, motorcycles and mini scooters, rickshaws, cats and dogs, pigeons and crows and with all of that, on the same street, you will come across souvenirs, clothes, fruit and vegetables for sale, cheap diners and cafés. Can you imagine all of that? You must see it, because no words, emotions or photographs can ever deliver the entire experience.











## SWAYAMBHUNATH

Swayambhunath is called the Monkey Temple. There are a lot of monkeys living here, they don't mind visitors and often interact with them. Everything looks very unusual here; amazing emotions fill you once you appear in such an environment. The temple itself is built on one of the high points in Katmandu, so the entire city looks like it's on the palm of your hand.

## BHAKTAPUR

Bhaktapur is located on a one hour drive from the center of Katmnandu. It's an ancient city, motorcycles and automobiles are rare here, and if it hadn't been for them, you'd think you traveled back in time, because people mostly wear old clothing, women collect water from springs and there are many tiny workshops where people are busy with different crafts. Architecture is the main sight in Bhaktapur; it's a true wonder, here the connection with the contemporary world is completely disrupted.







## სვაიამბუნატხი

სვაიამბუნატხს მაიმუნების ტაძარს ეძახიან. აქ უამრავი მაიმუნი ცხოვრობს. ისინი არ ერიდებიან დამთვალიერებლებს და ხშირად კონტაქტშიც კი შედიან მათთან. ეს ყველაფერი ძალიან უჩვეულოდ გამოიყურება. საოცარი ემოციები გეუფლება, როცა ასეთ გარემოში ხვდები. თვითონ ტაძარი კატმანდუს ერთ-ერთ მაღალ წერტილზეა აშენებული, ამიტომ მთელი ქალაქი აქედან ხელის გულზე მოჩანს.

## ბაქტაპური

ბაქტაპური, ძველი ქალაქი, კატმანდუს ცენტრიდან ერთი საათის სავალზეა. აქ იშვიათად, მაგრამ გვხვდება მოტოციკლები და მანქანები. ეს რომ არა, იფიქრებდით, რომ ძველ დროში მოხვდით, რადგან აქ ადამიანებს, უმეტესწილად, ძველი სამოსი აცვიათ, ქალები წყალს ძველებური მეთოდით აგროვებენ, ხშირად შეხვდებით პატარა სახელოსნოებსაც. მთავარი სანახაობა ბაქტაპურში არქიტექტურაა. ნამდვილი საოცრებაა, აქ თანამედროვე სამყაროსთან კავშირი წყდება.

## BODHNATH

Bodhnath is located in the center of Katmandu, within unimaginable chaos and noise. This is a huge ancient white Buddhist temple. Around it are dozens of Tibetan monasteries of different schools. This is where one of the scenes from Bernardo Bertolucci's "Little Buddha" was filmed. It's an impressive place.

## PASHUPATINATH

One of the largest Hindu temple complexes, considered the main Shiva Temple in the World. Thousands of pilgrims come here every day, mostly from India and Nepal.

This place has another important purpose – cremation takes place here. You stand on the other side of the river and watch how the bodies are prepared, how they are burned on the bonfire arranged particularly for this purpose and how their remnants are spread into the Holy river of Bagmati.

Here you can also see the hospices where people await death. I suggest you choose a guide who will tell you the history and explain you the local traditions and rules, tell you about the purpose of the buildings on the territory of Pashupatinath. All of that is very interesting to hear.









## ბოდნატხი

ბოდნატხი კატმანდუს ცენტრში, ქაოსსა და ხმაურში, წარმოუდგენელ ადგილას მდებარეობს. ეს არის უზარმაზარი, უძველესი თეთრი ბუდისტური ტაძარი, მის გარშემო განლაგებულია სხვადასხვა სკოლის და მიმართულების ათობით ტიბეტური მონასტერი. სწორედ აქ არის გადაღებული ერთ-ერთი მთავარი სცენა ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმისათვის „პატარა ბუდა“. შთამბეჭდავი ადგილია.

## პაშუპატინატხი

ინდუიზმის ერთ-ერთი უმსხვილესი სატაძრო კომპლექსი, რომელიც შივას ყველაზე მთავარ წმინდა ტაძრად ითვლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ყოველდღიურად აქ ათასობით მომლოცველი იყრის თავს, უმეტესად ინდოეთიდან და ნეპალიდან.

ამ ადგილს კიდევ ერთი დატვირთვა აქვს – აქ ხდება კრემაცია. უცნაურია, მაგრამ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თვალი ადევნოს ამ პროცესს. დგახარ მდინარის მოპირადპირე მხარეს და უყურებ, როგორ ამზადებენ მიცვალებულს, როგორ წვავენ მას კოცონზე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და ბოლოს მის ნეშთს წმინდა მდინარე ბაგმატს როგორ ატანენ.

აქვე ნახავთ ჰოსპისებს, სადაც ადამიანები სიკვდილს ელოდებიან. გირჩევთ აიყვანოთ გიდი, რომელიც მოგიყვებათ ისტორიას და დეტალურად აგიხსნით ადათ-წესებს და გეტყვით, რა დანიშნულება აქვს პაშუპატინატხის ტერიტორიაზე განლაგებულ ნაგებობებს, ძალიან საინტერესოა.







## POKHARA

It's an approximately 6 hour drive from Kathmandu to Pokhara. This is the third largest city in Nepal. Pokhara is built on the mouth of the lake, it is from here mountaineers take off to conquer the Himalayans, so this is a very popular tourist destination. I suggest you pick a hotel by the lake, with a room overlooking it, because it's a great pleasure to watch the view at any time of day. You can get a boat ride on the river as well and will definitely enjoy walking around the city. The weather changes frequently in Nepal – it might start to rain all of a sudden and then the sun will shine again. You don't need to take a raincoat and rubber shoes with you, they are for sale on every corner here.

You must see the sunrise in Pokhara. It's an impressive sight. Upon dawn you go up the Sarangkot mountain and watch the sun rise from the top of Annapurna, it's an amazingly beautiful process.

If you're into extreme means of entertainment, I suggest the ZIPFLYER. They say this is the world's best place for this activity, because one gets to fly the longest route from the highest point.





## პოხარა

კატმანდუდან პოხარამდე მანქანით, დაახლოებით, 6 საათი დაგჭირდებათ. ეს არის სიდიდით მესამე ქალაქი ნეპალში. პოხარა ტბის პირზეა გაშენებული. სწორედ აქედან ადიან მთამსვლელები ჰიმალაის მწვერვალების დასაპყრობად, ამიტომ ეს ადგილი ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. გირჩევთ, ტბის პირას შეარჩიოთ სასტუმრო და ნომერიც მასზე ხედით აიღოთ, რადგან დიდ სიამოვნებას მიიღებთ მისი ცქერით. მდინარეზე ნავითაც შეგიძლიათ გაისეირნოთ, ქალაქში ხეტიალიც მოგეწონებათ. ნეპალში ამინდი ხშირად იცვლება. უცებ შეიძლება წვიმა წამოვიდეს, მაგრამ მალევე გადაიღოს. ნუ წაიღებთ საწვიმარს და რეზინის ჩექმებს, მსგავს ნივთებს აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით.

პოხარაში აუცილებლად უნდა ნახოთ მზის ამოსვლა. შთამბეჭდავი სანახაობაა. გამთენიისას მთა სარანგოტზე ადიხარ და სპეციალური ნაგებობიდან უყურებ, როგორ ამოდის მზე ანაპურნას მწვერვალიდან. საოცარი სილამაზეა.

თუ ექსტრემალური გართობა გიყვართ, იფრინეთ ZIPFLYER-ით. როგორც ამბობენ, ეს მსოფლიოში საუკეთესო ZIPFLYER-ია, რადგან ყველაზე მაღალი მწვერვალიდან ყველაზე გრძელ მანძილზე ეშვება.



## CHITWAN (The National Park)

If you love animals and plants, Chitwan will be a true discovery for you. This is a place where I will definitely try to return again. I want to suggest a hotel, because I think I found one that has everything you need to relax and enjoy new emotions - SAPANA VILLAGE LODGE. It's like heaven there: small two-story houses in the yard with only several rooms; there are swings, bungalows and terraces. A river runs down the hotel territory and, if you want to, you can bathe the elephant and its baby living in the hotel in it. SAPANA VILLAGE LODGE – I definitely a discovery for those who value an Eco friendly environment; you can feel it everywhere, in hotel rooms, the yard and the restaurant. You will be given a book with illustrations and a program of opportunities. For example, you can take an elephant ride, or a canoe and look at animals, birds, fish and reptiles. You will often come across crocodiles in the river, but should not be afraid. Sitting in a canoe you feel like you might fall over and into the water with the crocodiles, but the canoe is carved out of whole wood, so it never turns over and thus, you have nothing to worry about. You can visit the elephant farm, go on a safari, or to the natural reserve, visit the workshop where local women make handmade souvenirs. If you purchase a souvenir you will contribute to the FAIR TRADE program. Here they also make henna tattoos – it's an interesting process. And another unusual and interesting thing – you can marry according to local traditions and rituals. That too, is a part of the program. In short, you won't manage to get bored around here. In order to have time for all of that I suggest you stay at least 5-6 days and finally, you must definitely become acquainted with the owner and the general manager of the hotel, Dhruba Giri, who will tell you the heartwarming story of the creation of this wonderful hotel.

Here is where the trip to Nepal ends and we return to Dubai for another two days, where we will visit the wonderful JUMEIRAH CREEKSIDE HOTEL.















## ჩითვანი (ნაციონალური პარკი)

